გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან
samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N2(9146) 20 იანვარი. 2015 წელი ფასი 50 თეთრი



## „ნაციონალების" პრემიები ნამდვილად ყბადაღებული თემაა 3

## ხელის ერთი აწევით 2

## „ამ გაზეთს ვაჩუქებ, ვისაც უნდა", ანუ ხელოვნები შორის „სამტრედიის მაცნისგან"



ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ვეტერან მებრძოლებს შობა-ახალი წელი განსაკუთრებით მიულოცა. მისალოცი ბარათები სამტრედიელმა ვეტერანებმაც მიიღეს. ისინი მადლიერებას გამოხატავენ ბატონი ირაკლი ღარიბაშვილისადმი, რომელმაც მათ მიმართ თავისი კეთილგანწყობა ერთხელ კიდევ გამოხატა.

## „წიგნი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას" 5

## ტენდერი სოციალურად დაუცველებს შიმშილისთვის იმეტებს 2







## საუკეთესო საჩუქარი დაბადების დღეზე 5

## „აპლიკანტი" და სხვა 6

## „რომ არა შენი ჰანგები"

# ხელის ერთი აწევით

**თეა ბაბუნაშვილი**

საკრებულოს მორიგ სხდომას ბედობა დღეს სიმშვიდე დაებედა. წარმოდგენილ სამივე საკითხზე თანხმობა მიიღო საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, შალვა არზუმანიანმა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, კომუნალური სამსახურის დაფინანსებაში გარკვეული ცვლილებებია. მისი ბიუჯეტი 5900 ლარით გაიზარდა 2014 წლის ნაშთის გადმოტანის მეშვეობით.

შიდა მუხლობრივი ცვლილებით, ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციის მოვლა-შენახვის, საწვავ-დიზელის მოხმარების თანხამ 5600 ლარით მოიმატა. ოფისის ხარჯის მუხლში კავშირგაბმულობის თანხა 50, ელექტროენერგიის კი 250 ლარით განისაზღვრა.

მუხლობრივი ცვლილებები დამტკიცდა საფეხბურთო კლუბ ''სამტრედიას'' 2015 წლის პროგრამის განხორციელებისთვის.

მომდევნო საკითხი საკრებულოსგან გამგებლისთვის ნებართვის მიცემას გულისხმობდა შესყიდვებისა და ტენდერების დაჩქარებული წესით წარმოება-გამოცხადების თაობაზე. საქმე დამეწყრილ მოსახლეობასა და მეწყერსაშიშ ზონებს ეხება და სიჩქარეც ამან გამოიწვია. მუნიციპალიტეტის საკრებულომ ''ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'', ''სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის'' და ''გამარტივებული შესყიდვების, გამარტივებული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის'' მიხედვით, მუნიციპალიტეტის გამგეობის 2015 წლის 12 იანვრის №36 წერილობითი მომართვის საფუძველზე, გამგებელს პროცესის გამარტივებულად წარმართვის ნებართვა მისცა.

გომისა და ტოლების თემში მეწყერისგან დაზარალებულ სამ მოსახლეს ამ თანხმობის შემდეგ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების მეშვეობით პრობლემა შედარებით სწრაფად მოუგვარდებათ. საჯავახოს თემში რომან ჩაჩუასთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 13 989 ლარია განსაზღვრული, რითაც მისი საცხოვრებელი სახლის უკან ჩამოშლილი მთის კედლის გამაგრება უნდა მოხდეს. აღსანიშნავია, რომ გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ეს ოჯახი გასახლებას ექვემდებარება.

სოფელ გომში გიორგი თავაძისთვის 8640, ზემო ტოლებში ზვიად ვაშალომიძისთვის 5000 ლარი გამოიყო მეწყერის მიერ შექმნილი პრობლემების მოსაგვარებლად.

მეწყერმა გზა ჩახერგა ზემო ნოღაში. რამდენიმე ოჯახი გარე სამყაროს მოწყვეტილი დარჩა. გზის აღსადგენად 6884 ლარია განსაზღვრული. სოფლის მაჟორიტარი ილია მჟავია ერთ_ერთი სამშენებლო ორგანიზაციის გათვლებზე დაყრდნობით, საკრებულოს სხდომაზე აცხადებდა, რომ თანხა საკმარისი არ იქნება, ჩატარებული სამუშაოები სულ მალე კვლავ ჩასატარებელი გახდება. ინფრასტრუქტურის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ავთო ნაცვლიშვილი მას პასუხობდა, რომ ''გეოლოგიური დასკვნის საფუძველზე ზაფხულამდე გზის აღდგენა არ არის გამართლებული. თავდაპირველად გავიტანთ ჩამოშლილ მასას. ჩავდებთ დროებით დრენაჟს, რომელიც წყალს გაატარებს. იქნებ კარგადაც იმუშაოს და გამოცვლა არ დასჭირდეს. თუ არა და, ზაფხულში მას გავამაგრებთ. ეს ორმაგი ხარჯი არ იქნება, რადგან დრენაჟი აუცილებლად ჩასადებია ამ მონაკვეთზე.''

მეწყრის შემდგომი სამუშაოები მიმდინარე წელს საერთო ჯამში 34 ათას ლარს შეადგენს. თანხა დეფექტური აქტების ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე დაზუსტდა, რომელიც გამგეობის კომისიამ ადგილებზე სიტუაციაში გარკვევის შემდეგ შეადგინა. აღსანიშნავია, რომ გამოყოფილი თანხებით მეწყრის შედეგად შექმნილ პრობლემებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები მოაგვარებენ.

# საკრებულოს წევრი ხალხის პრობლემების მისეული ხედვით

**ნათია ნაცვლიშვილი**

გრიგოლ დარჯანია საკრებულოს სხდომაზე მშვიდ ამპლუაში ყოფნას თავისი მშვიდი ბუნებით ხსნის. ''ჩვენ ეს საკითხები სხდომაზე გამოტანამდე განხილული გვაქვს. ჩვენი აზრი შეჯერებულია და აზრის გამოთქმისაგან თავს ვიკავებ''. – გვეუბნება ბატონი გრიგოლი. ''ქართული ოცნების'' სიით დეპუტატი მუნიციპალიტეტის საკრებულოში მას შემდეგ მოხვდა, რაც სიაში მის წინ მყოფი ბეჟან გეგეშიძე მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსად დაინიშნა. როგორც აღმოჩნდა, ბატონი გრიგოლი პოლიტიკურად აქტიური პერსონაა და ამ აქტიურობას საკრებულოს დარბაზის გარეთაც ახორციელებს. ის 19 მაისს დაარსებული სამთავრობო ჟღერადობის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციის ''_ ირაკლი ღარიბაშვილის მხარდამჭერთა ცენტრი _ საქართველოს ახალი დემოკრატები'' სამტრედიის განშტოებას ხელმძღვანელობს და ამბობს, რომ ეს ორგანიზაცია ქვეყნის მასშტაბით დაწყებულ საქმიანობას დღითიდღეააქტიურებს. ბატონ გრიგოლ დარჯანიას ამ ორგანიზაციაში მოადგილეებიც ჰყავს საკრებულოს წევრი ხვიჩა ფანცულაია და ''ქართული ოცნების'' ახალგაზრდული ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი, სერგო კოპალეიშვილი. ორგანიზაცია ქვეყნის მასშტაბით 7000 წევრს აერთიანებს, მისი თავმჯდომარე დავით ხიზანიშვილია, მუნიციპალიტეტში ამ ორგანიზაციაში 150-მდე წევრია გაწევრიანებული. ხელმძღვანელის თქმით, მასში შედიან როგორც საჯარო მოხელეები, ისე მოქალაქეები.

გრიგოლ დარჯანიამ ქალაქის ყოფილი № 24 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამხედრო სამსახური რუსეთში მოიხადა. იქიდან დაბრუნების შემდეგ ახალსოფლის რვაწლიანი სკოლის სამნეო ნაწილის გამგედ მუშაობდა და დიდი სითბოთი იხსენებს იმჟამინდელ დირექტორთან, შოთა მინაშვილთან მუშაობის წლებს. შემდეგ მუშაობდა გაზის ტრესტში, საავარიო სამსახურში მძღოლად, იქ მისი მშობლებიც საპატიო თანამდებობებზე მუშაობდნენ. შემდეგ ამთავრებს კულაშის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმს, ამის შემდეგ კერძო ბიზნესითაა დაკავებული. ჰქონდა ვეტაფთიაქი, ხელმძღვანელობდა ორ ბრიგადას, რომლებიც საამშენებლო სამუშოებს აწარმოებდნენ როგორც სახელმწიფო ორგანიზაციების, ისე კერძო პირთა დაკვეთით. გარკვეული წლების მერე 6 წელი რუსეთში იყო კერძო ბიზნესით დაკავებული.

დამთავრებული აქვს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, თუმცა იურისტის პროფილით არ უმუშავნია. დაარსდა თუ არა ''ქართული ოცნების'' სამტრედიის შტაბი, მის მეუღლესთან, პედაგოგ მარინე დარსაველიძესთან ერთად (რომელიც ამჟამად იანეთის საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია), იქ აღმოჩნდა და ჩაერთო ''ქართული ოცნების'' მხარდამჭერ კამპანიაში. ამბობს, რომ უამრავი ნათესავი მოუგზავნა ''ნაციონალურმა მოძრაობამ'', პოლიტიკური აქტიურობა რომ შეეწყვიტა, თუმცა, ამ წინააღდეგობას არ დაჰყვა, ჯერ კოორდინატორი, შემდეგ კი, ზონის უფროსი გახდა.

გრიგოლ დარჯანია საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის წევრია, ამბობს, რომ სხვადასხვა პრობლემით უამრავი ადამიანი აკითხავს, შეუძლია მის მიერ გაკეთებულ საქმეებზე საუბარი. ობიექტურად და დადებითად აფასებს ბოლო პერიოდში ჩატარებულ საჯარო მოხელეთა ატესტაციებს თუ კონკურსებს: ''საყვედური შეიძლება თქვას ვინმემ, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, ჩემთანაც გამოუთქვამთ საყვედური, პრობლემა ექმნება იმ ადამიანს, ვინც დატოვა სამსახური, ოჯახია მის უკან, უნდა შევძლოთ ხალხის დასაქმება, რაც სირთულეებთან არის დაკავშირებული. ნაბიჯები იდგმება საამისოდ, საიდან დაასაქმებ ადამიანს, თუ არ იქნა ფაბრიკა და ქარხანა? ველოდებოდით რძის კომბინატის აშენებას, ვნახოთ, თუ აშენდა, სამასამდე ადამიანი დასაქმდება. პირადად მე დარჩენილი 3 წლის ვადაში ბევრის კეთების სურვილი მაქვს, ვნახოთ, რას შევძლებთ, ძალისხმევას არ დავიშურებ. ხალხის მთავარი საწუხარი დასაქმებაა, ჩემი სოფლიდან, ახალსოფლიდან მომაკითხეს და მთხოვეს დახმარება, საწრეტი



არხი ჩაამტვრია მძიმე ტექნიკამ, თავად ვაჩუქე 5 ლითონის მილი მოსახლეობას, ბატონმა ვალერი ფოცხვერიამ დიდი დახმარება გაგვიწია, გამოგვიყო ტექნიკა, გავწმინდეთ და ჩავალაგეთ ეს არხები. მოსახლეობამ მცირედი შვება იგრძნო''. – გვეუბნება დეპუტატი.

# ტენდერი სოციალურად დაუცველებს შიმშილისთვის იმეტებს

**ნინო ნანიტაშვილი**

***ახალი წლიდან ''სახლი თანადგომას'' სამსახურს ათეულობით განაწყენებული ადამიანი ყოველდღიურად აკითხავს. სოციალურად დაუცველი მოსახლეობა თანამშრომლებიდან ითხოვს იმ მომსახურების მიღებას, რაც მათი კატეგორიის ადამიანებს სახელმწიფომ შემწეობის სახით დაუწესა. მარტოხელებს, სოციალურად გაჭირვებულ და მრავალშვილიან ოჯახებს, მარტოხელა დედებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ინვალიდებს 2015 წლის პირველი იანვრიდან პურითა და სადილით სარგებლობა შეუწყდათ. ასეთი სამტრედიის მუნიციპალიტეტში დაახლოებით....***

ნატო ცაგარეიშვილი 2001 წლიდან სოციალურ მუშაკად მუშაობს. შეჭირვებული სამტრედიელების საყოფაცხოვრებო პირობებს ქალბატონი ნატო ძალიან კარგად იცნობს. დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ ზემოჩამოთვლილი კატეგორიის ადამიანებს ნამდვილად უჭირთ, კვირაში 2 პური და ყოველდღიურად სადილი მათთვის არსებობის მცირე საშუალებაა.

ნატო ცაგარეიშვილი, სოციალური მუშაკი: ''4 იანვრიდან გამოვედით სამსახურში. მას შემდეგ ყოველდღიურად ჩვენს ბენეფიციარებთან გამკლავება გვიწევს და მათი დარწმუნება იმაში, რომ არც ჩვენი, არც ადგილობრივი ხელისუფლება პირდაპირ ბრალში არ არის. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შეფერხება ტენდერის გაჭიანურებამ გამოიწვია. სოციალური მუშაკები მათ ვამშვიდებთ და ვპირდებით, რომ უახლოეს დღეებში პრობლემა მოგვარდება''.

64 წლის პენსიონერი დალი ჯულუხიძე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე თანამშრომლებზე ადრე მოდის. იგი რამდენიმე კატეგორიას განეკუთვნება და ამდენად, პურითაც სარგებლობს და უფასო სადილითაც. მართალია, მას ყოველდღიურად უხსნიან, რომ სოციალური მომსახურება დროებით შეჩერებულია, ამის გაგება ქალბატონ დალის ძალიან უჭირს: ''ჩხენიშიდან ჩამოვდივარ, ტრანსპორტში ფულს არ მახდევინებენ, მაგრამ უპუროდ რომ მივდივარ უკან, სახლში და ვერც სადილს ვღებულობ, ძალიან ვბრაზდები. შიმშილით უნდა დაგვხოცონ მარტოხელები?''



''სახლ თანადგომას'' კვირაში ერთჯერ 2 პურისთვის 83 წლის სერგო სანიკიძეც აკითხავს. სახლში 78 წლის მეუღლე, ნაზი გიორგაძე პურით ელოდება. თუმცა, 2 კვირაა, შინ ხელცარიელი ბრუნდება: ''მაიაკოვსკის ქუჩიდან დავდივარ. ტრანსპორტი არ მჭირდება. იმ 2 პურს ჩვენი ოჯახისთვის შეღავათი მოაქვს. მწყინს, რომ რაც სახელმწიფოსაგან მეკუთვნის, ვერ ვღებულობ''.

ცრემლებს ვერ იკავებს ლამარა გიორგაძე. იგი ახალგაზრდა მარტოხელა დედაა, მას სახლში ორი შვილი და ხანდაზმული დედა ჰყავს. ოჯახის შემოსავალი დედის პენსია და ბავშვების ობლობის პენსიაა. პურითა და უფასო სადილით სარგებლობა ცოტაოდენ შეღავათს მის ოჯახსაც უკეთებს: ''ეს სიტუაცია უხერხულობას მიქმნის, მაგრამ ქვრივი ქალისთვის ორი შვილის, სკოლის მოსწავლეების გამოკვება ძალიან რთულია. შევდივარ სოციალური მუშაკების მდგომარეობაში, მაგრამ ჩვენი მდგომარეობაც უნდა იქნეს გათვალისწინებული. სახელმწიფომ ხომ უნდა გათვალოს, თუკი ჩვენი კატეგორიის ადამიანს უფასო სადილი ყოველდღიურად სჭირდება, და მას სამი კვირა შეუწყვეტ იმის გამო, ტენდერის ჩატარება ვერ მოესწრო, ეს გამართლება არ არის. ჯობია, უფრო სერიოზულად მოგვექცეს სათანადო ყურადღება''.

როგორც ოფიციალური წყაროდან შევიტყვეთ, ''სახლი თანადგომას'' ბენეფიციარებთან მომსახურების შეწყვეტა გამოწვეულია ტენდერთან დაკავშირებით. ცნობილია, რომ 2015 წლის 18 დეკემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი დამტკიცდა. ამის შემდეგ გამოცხადდა ტენდერი.

მზევინარ ბოხუა, ''სახლი თანადგომას'' დირექტორი: ''როგორც მოგეხსენებათ, ადგილობრივი ბიუჯეტი საკრებულომ 18 დეკემბერს დაამტკიცა. ხუთშაბათი იყო, პარასკევს, 19 დეკემბერს ჩვენმა სამსახურმა მოამზადა სატენდერო მასალა. 20 და 21 დეკემბერი არასამუშაო დღეები იყო. 22 დეკემბერს, ორშაბათს ორ კოდზე ტენდერი გამოვაცხადეთ. 032 კოდი ბოსტნეულის პროდუქტებზე მიიღო ინდ-მეწარმემ ''ზურაბ სტურუამ'' და წარმოადგინა ყველა საჭირო დოკუმენტი, კანონის მოთხოვნის შესაბამისად. მას 14 იანვარს გაუფორმდება ხელშეკრულება.



158 კოდზე მონაწილეობა მიიღო ქუთაისის შპს ''ენენდემ'' (დირექტორი იასონ ებანოიძე), რომელმაც ვერ წარმოადგინა სათანადო დოკუმენტაცია, რის გამოც მეწარმეს დისკვალიფიკაცია მიეცა.

დრო არ დაგვიკარგავს, იმავე დღეს 5 იანვარს 14 საათსა და 30 წუთზე გამოვაცხადეთ მეორე, ელექტრონული ტენდერი. აღმოჩნდა, რომ იგივემ მიიღო მონაწილეობა. ამჯერად დოკუმენტაცია სრულყოფილად თუ ექნება, ''სახლი თანადგომა'' მასთან ხელშეკრულებას გაუფორმებს. 16 იანვარს აიტვირთება მესამე ოქმი. სრულყოფილების შემთხვევაში 20 იანვარს დაიდება ხელშეკრულება და 21 იანვარს დავიწყებთ მუშაობას. ვისარგებლებ შემთხვევით და თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ჩვენს ბენეფიციარებს შობა-ახალ წელს მივულოცავ, ვუსურვებ მათ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ხვავსა და ბარაქას''.

როცა დავინტერესდით, შევიტყვეთ, რომ უფასო სასადილოს არსებობის მანძილზე მსგავსი შემთხვევები ტრადიციულია. შარშან ბენეფიციარებმა პირველი სადილი 23 იანვარს მიიღეს. ასე ყოფილა წინა წლებშიც. არის თუ არა შესაძლებლობა, მსგავსი უსიამოვნო შემთხვევებისაგან ''სახლი თანადგომამ'' თავი დაიზღვიოს, ამაზე კომენტარისათვის ''სამტრედიის მაცნე'' მუნიციპალიტეტის გამგებელთან მივიდა.

ვალერიანე ფოცხვერია ამ ეტაპზე სხვა გამოსავალს ვერ ხედავს: ''დღევანდელი კანონმდებლობა ტენდერის გარეშე ხელშეკრულების გაფორმებას გვიკრძალავს. ტენდერს კი თავისი მოთხოვნები და ვადები გააჩნია, რასაც ვერც დავაჩქარებ და ვერც გადავავადებ. ''სახლი თანადგომას'' ბენეფიციარების ინტერესები რომ გავითვალისწინოთ, კანონი უნდა დავარღვიოთ, რასაც, მიუხედავად მათ მიმართ ჩემი დიდი თანაგრძნობისა, ვერაფრით დავუშვებ''.

# “ნაციონალების” პრემიები ნამდვილად ყბადაღებული თემაა

ნინო ნანიტაშვილი





9 იანვრის სხდომაზე საკრებულოს უმცირესობის გაღიზიანება საჯარო მოხელეთა ხელფასების მატებას მოჰყვა. კერძოდ, როცა მომხსენებელმა შალვა არზუმანიანმა საკრებულოს სხდომის მონაწილეებს საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. ახალი წლიდან საკრებულოს თანამდებობის პირების ყოველთვიური ხელფასი 50 ლარით გაიზარდა. ამის გარდა, ხელფასის მატება შეეხო საკრებულოს აპარატის სპეციალისტებს. მთავარი სპეციალისტის ხელფასი ნაცვლად 560-ისა, 700 ლარი გახდა. წამყვანი სპეციალისტის _ 650 ლარი, უფროსი სპეციალისტის _ 600 ლარი, ხოლო სპეციალისტის 550 ლარი.

მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილის ყოველთვიურმა სახელფასო სარგომ 2015 წლის იანვრიდან 1750 ლარი შეადგინა, მოადგილეების _ 1650 ლარი. ანაზღაურება გაეზარდათ გამგეობის სამსახურებისა და განყოფილების უფროსებს: პირველის შემთხვევაში ხელფასი 1400 ლარი, ხოლო მეორის _ 1100 ლარი გახდა. 1000 ლარი შეადგინა მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლების ხელფასმა. სწორედ ეს ფაქტი გახდა ფრაქცია ‘‘ნაციონალების’’ მხრიდან საკრებულოს სხდომაზე განცხადებების გაკეთების მიზეზი.

მამუკა ბიბილეიშვილმა ‘‘სამტრედიის მაცნეში’’ გამოქვეყნებული სტატია ‘‘ვინ როგორ მიიღო პრემია’’ გაიხსენა და იქვე, რესპონდენტის, მანანა სირბილაძის კრიტიკა მოაყოლა: ‘‘ნაციონალებს’’ რომ პრემიებს უთვლის ქალბატონი მანანა, რა განსხვავებას ხედავს იმ პრემიებსა და დღევანდელი ხელფასის დანამატებს შორის? ქვა იმან ისროლოს, ვისაც ნაკლები ცოდვა აქვს’’.

ვინაიდან სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა ‘‘ნაციონალების’’ იმდღევანდელი უშუალო ადრესატი, მანანა სირბილაძის ნაცვლად მამუკა ბიბილეიშვილს პასუხი გასცა და ელემენტარული მათემატიკის ცოდნა შეახსენა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ. კობა ძიძიგურმა მეტი მტკიცებულებისთვის ოპოზიციონერ კოლეგას 2014 წლის 14 ივლისამდე პერიოდი ზუსტ ციფრებში გაუშიფრა: ‘‘ნახევარი წლის განმავლობაში თქვენმა ‘‘ნაციონალებმა’’ 500 000 ლარის პრემიები დაირიგეს. გეკითხებით, 50 ლარით რატომ ვუზრდით საჯარო მოხელეებს ხელფასს და გამგებლის პირველ მოადგილეს, რა გაზრდილი დატვირთვის შედეგადო? თან გპასუხობთ და თანაც გეკითხებით: ვისაც 2014 წლის მე-2 ნახევარში, ჩვენი ადგილობრივ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ვისაც, პრემიები დაურიგდა, თან ასეთი ძალიან ცოტა იყო, მათ ზეგანაკვეთური სამუშაოები ჩაატარეს. მაინტერესებს, 2014 წლის პირველ ნახევარში ნახევარი მილიონი პრემია რომ აიღეთ, ზეგანაკვეთური სამუშაოები ჩაატარეთ? იმავე წლის მე-2 ნახევარში, ჩვენ პრემია საერთოდ არ აგვიღია. რაც შეეხება ხელფასების მატებას, საშუალოდ, 50 ლარიანი მატება ჯამში ნახევარ წელში გაცემული ნახევარი მილიონი ლარია? აი, ეს არის ელემენტარული მათემატიკა, რომელიც მამუკა ბიბილეიშვილს არ უნდა ეშლებოდეს.

ქალბატონი მანანა დღეს არ არის, თუმცა ეს თემა მარტო მისთვის კი არა, ნამდვილად ყველა მოქალაქისთვის მტკივნეულია და ყბადაღებული. ნურავის ეწყინება თუ ამას ჩვენ მომავალშიც გავიმეორებთ’’.

# „ამ გაზეთს ვაჩუქებ, ვისაც უნდა", ანუ ხელები შორს „სამტრედიის მაცნესგან"

ნინო ნანიტაშვილი

9 იანვრის საკრებულოზე ‘‘ნაციონალებს’’ წინასწარ განზრახული შოუ ჩაუვარდათ: სხდომის დასაწყისში ტელევიზიის არყოფნა უმრავლესობის მხრიდან მედიაზე ზეწოლით ახსნეს და ჩათვალეს, ადგილობრივ ხელისუფლებას არ აწყობდა, ჟურნალისტებს სწორედ ის სხდომა გაეშუქებინათ, რომლის დღის წესრიგში საჯარო მოხელეთა ხელფასების 25%-იანი ზრდის საკითხი უნდა განხილულიყო, ამ თემას კი უმცირესობის მხრიდან პროტესტი მოჰყოლოდა.

მოგვიანებით გაირკვა, რომ საკრებულოს აპარატისთვის არავის დაუშლია, 14 საათისთვის ჩანიშნულ სხდომაზე ჟურნალისტები მოეწვიათ. მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარი სპეციალისტის მაია ღოღობერიძის თქმით, იგი პირადად დაუკავშირდა ყველა მედიასაშუალებას, მათ შორის ტელევიზიას და სხდომაზე დასასწრებად მიიწვია. მაია ღოღობერიძის ეს განმარტება არ მოუსმენია და არც დაგვიანებული ოპერატორის შემოსვლის ნახვის შესაძლებლობა მიეცა 9 იანვრის სხდომის ყველაზე აქტიურ წევრს. მამუკა ბიბილეიშვილმა იმ დღეს საკვანძო საკითხებზე თავისი შენიშვნების გაკეთება მოასწრო. მან დემონსტრაციულად, პროტესტის ნიშნად სხდომა დროზე ადრე დატოვა, რადგან იმ დღეს მას და მის თანაპარტიელებს ჟურნალისტმა მატყუარები უწოდა.

ბოლო პერიოდია, აღარავის უკვირს, საკრებულოს სხდომას განაწყენებული სუბიექტები ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ ხსენებით იწყებენ და ასრულებენ. გამონაკლისი არც 9 იანვრის შეკრება ყოფილა. ‘‘ამ გაზეთს ვაჩუქებ, ვისაც უნდა’’ _ ამ სიტყვებით თავის სადეპუტატო მაგიდაზე დადებულ ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ ზურაბ ზაქარიაძემ ხელი მოჰკიდა და კოლეგებს გადააწოდა, რასაც ამას მისივე თანაპარტიელის რეპლიკა მოჰყვა, ეგ გაზეთი კი არა, ‘‘ასავალ-დასავალიაო’’. თავს არ მივცემ უფლებას და ამ სიტყვების ავტორს ვერც იმის არცოდნაში დავადანაშაულებ, რომ იგი შესაძლოა, ვერ არჩევდეს, ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ მსგავსად’’ასავალ-დასავალიც’’ რომ გაზეთია და ჟურნალისტური თავისუფლების მაღალი ხარისხით გამორჩეული.



ასეა თუ ისეა, პოპულარული გაზეთის, ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ ჟურნალისტმა მაშინ თავი შეიკავა და ‘‘ნაციონალების’’ ირონიულ რეპლიკებზე რეაქცია არ ჰქონია, მაგრამ იგივე ჟურნალისტმა უპასუხოდ ვეღარ დატოვა ავთანდილ თადუმაძის ბრალდება, როცა საგაზეთო სტატიის ‘‘ვინ როგორ აიღო პრემია?’’ ავტორის შესახებ საკრებულოს წევრმა იცრუა: პრემიებზე რა აქვს ამ წერილის ავტორს სალაპარაკო, ხუთ სამსახურში იღებს ხელფასსო.

სტატიის ავტორი და ავთანდილ თადუმაძის ბრალდების ადრესატი ნინო ნანიტაშვილი ამ განცხადებამ ჯერ გააკვირვა, შემდეგ კი ისე გააბრაზა, საკრებულოს სხდომის მიმდინარეობას არ მორიდებია, ყოველგვარი მობოდიშების გარეშე იქვე გასცა თადუმაძეს პასუხი და მატყუარა უწოდა. დიახ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ავთანდილ თადუმაძე საზოგადოების, მათ შორის მედიის მოტყუებას ცდილობს. ჯერ კიდევ 2013 წლის გაზაფხულზე ‘‘ნახალოვკის’’ დასახლებაში მცხოვრებ მოსახლეობასთან ნათქვამი ოფიციალურმა პირმა პრესასთან უარყო. უფრო მეტიც შპს ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ დირექტორი და გაზეთის მთავარი რედაქტორი კინაღამ იმაში დაარწმუნა, რომ ჟურნალისტი მას ცილს სწამებდა, მოწმე ‘‘ნახალოვკელ’’ ქალბატონს კი, რომელიც ჟურნალისტის დაცვას შეეცადა, უსინდისო უწოდა. ამას რომ აღარ დასჯერდა, 30 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული სტატიის ავტორს, სადაც მის მიერ აღებული პრემიების სოლიდური რაოდენობა იყო მითითებული, შენ რა გაქვს სალაპარაკო, 5 სამსახურში იღებ ხელფასსო, ცილი სახალხოდ დასწამა, ისე, რომ წარბიც არ შეხრია.

არიან ისეთი ადამიანები, თავიანთი ნათქვამი ტყუილის ორი კვირა თავად რომ სჯერათ. ასე თადუმაძის შემთხვევაშიც რომ არ მოხდეს, ‘‘იძულებული ვარ განვმარტო: ნინო ნანიტაშვილი ‘‘სამტრედიის მაცნეში’’ ჯერ კიდევ 1992 წლიდან მუშაობს. რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ 2010 წელში ბრუნდება და დღეს რიგითი რეპორტიორის პოზიციაზეა დაკავებული, თვეში 257 ლარიანი ანაზღაურებით, არც მეტით და არც ნაკლებით. პარალელურად ითვლება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ნორჩ ჟურნალისტთა წრის ხელმძღვანელად, სადაც 1996 წლიდან მუშაობს. ეს უკანასკნელი არც ზედმეტ დატვირთვაში ეთვლება და არც ეკრძალება. ხელფასი 127 ლარს შეადგენს. არც ერთგან და არც მეორეგან მისი საქმიანობა რომელიმე პოლიტიკური პარტიის კეთილი ნებით და პოლიტიკური დამსახურებით არ არის გამოწვეული. რაც შეეხება დანარჩენ სამ სამსახურს, ავთანდილ თადუმაძე ძალიან დაგვავალებს, თუ იმ სამი სამსახურის შესახებ ინფორმაციას მოგვაწოდებს, სადაც ნინო ნანიტაშვილის სახელზე ხელფასები იწერება, ასეთი რამ ჩვენთვის დღემდე უცნობია.

ადამიანები, რომლებიც მედიაზე თითქმის ათეული წლები ძალადობდნენ, გასაკვირი არ არის, აღებული ინერციით დღემდე რომ აგრძელებენ პრესასთან მბრძანებლურ დამოკიდებულებას. ამის მაგალითი პირადად მე ძალიან ბევრი მქონია და ცხადია, კონკრეტული შემთხვევების გახსენებას ყოფილი ჩინოვნიკები არ მოინდომებენ.

რაც შეეხება, 2012 წლის 1-ლი ოქტომბრისა და 2014 წლის 14 ივლისის შემდეგ მოსულ ხელისუფლებას, ცოტაოდენი გაურკვევლობები აქაც იყო. საბედნიეროდ, გარკვევის მომენტებს გართულებები არ მოჰყოლია.

და ბოლოს, პოსკრიპტუმის მაგიერ: ხელები შორს ‘‘სამტრედიის მაცნესგან’’ და ჩემი კოლეგა ჟურნალისტებისგან. უმორჩილესად გთხოვთ, შეგვარგეთ დემოკრატია, რომელსაც დიდი თუ პატარა, ძველი თუ ახალი ხელისუფლება ასე გვაყვედრის!

# ევროპულ ოჯახში ევროპული კულტურით

## თხოვნა არ შევასრულეთ, კანონს უეჭველად უნდა დავემორჩილოთ

ლევან გაბეჩავა



ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში გვსმენია, რომ საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში ქუჩებში სიგარეტის ნამწვის ან მზესუმზირის გადაყრისათვის მკაცრი სანქციები იყო დაწესებული. ცოდვა გამხელილი ჯობს და, ერთობ უცნაურად გვეჩვენებოდა ბევრს ყოველივე, თუმცა დრომ დაგვანახა, რომ საზღვარგარეთის ის ქვეყნები, დიახაც რომ, ჩვენზე მეტად კულტურულები ყოფილან, ყოველ შემთხვევაში, ჩვენზე ადრე უზრუნვიათ საკუთარი სამშობლოსა და ხალხის კეთილდღეობაზე.

**2015 წლის 15 იანვრიდან საქართველოში გარემოს დაბინძურება კანონით დაისჯება. სიახლის თანახმად, 2 კილოგრამამდე ნაგვის ან სიგარეტის ნამწვის ქუჩაში გადაგდება მოქალაქეს 120 ლარი დაუჯდება. სანქციები ვრცელდება ავტომანქანებისა და სამარშრუტო ტაქსის მძღოლებზეც. თუ ავტომობილიდან მძღოლი, ან მანქანაში მყოფი პირი ნაგავს ქუჩაში გადააგდებს, ავტომობილის მფლობელი დაჯარიმდება.**

და მაინც, რამ გამოწვია გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ამ სანქციების შემოღება? პირველ ყოვლისა იმან, რომ მანამ ქვეყანაში არ არსებობდა ერთიანი კანონმდებლობა, რომელიც დაარეგულირებდა ნარჩენების მართვას, არსებობდა ადმინისტრაციული სანქციები, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში არ სრულდებოდა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სიახლემ საზოგადოებაში მრავალი კითხვა წარმოშვა: რატომ მაინცდამაინც 120 ლარიანი ჯარიმა? სად წავა, რას მოხმარდება ჯარიმიდან ამოღებული თანხა?

ყველა კითხვაზე გარემოს დამცველებს ლოგიკური პასუხი აქვთ, ჯარიმებიდან შემოსული თანხებით ცენტრალური ბიუჯეტი იხეირებს, რაც შეეხება ჯარიმის ოდენობის განსაზღვრას 120 ლარით, ევროპის ქვეყნებში ჯარიმების რაოდენობა (ანალოგიურ შემთხვევებში) ოთხნიშნა ციფრითაცაა გამოხატული.

ასე რომ, დავიცვათ კანონი და ნუ გადავიხდით ჯარიმას!

აუცილებელია ითქვას ისიც, რომ ამ სანქციის ამოქმედებით ყველა ფაქტი მხილებული, ყველა დამნაშავე გამოვლენილი ვერ იქნება, მაგრამ მთავარია, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დღემდე ვერ მიეჩვია, აწი მაინც მიეჩვიოს იმ ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რომ ნაგავი ქუჩაში, გზებზე, ბაღებსა და სკვერებში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში კი არ უნდა დაყარონ, არამედ სპეციალურად განკუთვნილ ადგილებში (სანაგვე ურნებში).

ევროპულ ოჯახში ევროპული კულტურით უნდა შევიდეთ!

# ქადაგებდა, ასწავლიდა, დედობრივი სიყვარულით ზრუნავდა...



***ტროპარი: "სიტყვისა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ქართველთა განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო ნინო, ევედრე ქრისტესა ღმერთსა შეწყალებად სულთა ჩვენთათვის".***

ხალხმრავლობაა ამ დღეს ბოდბეში, მორწმუნე მრევლი წმინდანის სამუდამო განსასვენებელს მიეახლება და ლოცვას აღავლენს, რათა წმინდანის ლოცვით აღმოცენებულ წყაროში განიბანოს და კურნება და შეწევნა მიიღოს. ნინოობა ქართველი ერისათვის უდიდესი დღესასწაულია, რადგან ნინო ქართველთა განმანათლებელია. საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, როდესაც ღვთისმშობლის ლოცვა-კურთხევითა და ვაზის ჯვრის ძალით წმინდა ნინო კაბადოკიელმა ქართლში იქადაგა. წმინდანის ხსენებას საქართველოს ეკლესია წელიწადში ორჯერ დღესასწაულობს: 1 (19) ივნისს მისი საქართველოში შემოსვლა აღინიშნება, ხოლო 27 (14) იანვარს _ გარდაცვალება.

ნინომ აღმზრდელისაგან შეიტყო საქართველოს შესახებ. გულმხურვალედ ლოცულობდა და სთხოვდა ღვთისმშობელს რომ საქართველოს ნახვის ღირსი გაეხადა. მას ქართლში წამოსვლა არა მარტო კვართის მოსალოცად სურდა, არამედ უნდოდა ქართველები უფლისაკენ მიმავალ ჭეშმარიტ გზაზე დაეყენებინა. საქართველოში რომ შემოვიდა ჯერ კიდევ თოვლიანი იყო ჯავახეთის მთათა მწვერვალები. ნანახმა გააოცა და შეაშფოთა. სულიერი სიმხნევე მაცხოვრის ხილვამ განუმტკიცა. მწყემსებს დაემგზავრა და ქართლისაკენ გამოეშურა. განსაცდელებითა და სიძნელეებით იყო სავსე ეს გზა. მცხეთაში მოვიდა მაშინ, როდესაც არმაზობას აღნიშნავდნენ ქართლელები. წმინდა ნინო ცრემლებით ევედრებოდა ქრისტეს, ეჩვენებინა კერპთა უსუსურობა და არარაობა. მართლაც, წმინდანის ლოცვისთანავე ამოვარდნილმა სეტყვამ და ქარიშხალმა შემუსრა კერპები. ნინოს ირგვლივ იკრიბებოდნენ ქრისტეს თაყვანისმცემლები. მერე ღვთისმშობლის მინიშნებით, მაყვლოვანში იცხოვრა 6 წელი, უფლის კვართზე ამოსული კვიპაროსის მახლობლად, მეფისეულ ბაღში. მიწაზე დაფენილ ძაძაზე იწვა და დაფლეთილი სამოსი ემოსა, უამრავი სასწაული აღასრულა, სნეულთა განკურნებით დაწყებული, სვეტიცხოვლის აღმართვით დასრულებული. უამრავ განკურნებულს შორის ქართლის დედოფალი ნანაც აღმოჩნდა. მერე მირიანმაც ირწმუნა. უდიდესი სასწაული წმინდა ნინოს ხელთაგან _ მოექცა მთელი ქართლი და მტკვრისა და არაგვის შესართავთან მოინათლა მეფეც და ერიც. ქადაგებდა, ასწავლიდა, დედობრივი სიყვარულით ზრუნავდა ახლადმოქცეულებზე. მერე ბოდბეში განაგრძო მოღვაწეობა. ბოდბეს მონასტერს გამორჩეული ადგილი უკავია საქართველოს სულიერ ცხოვრებაში. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ისაა, რომ იქ განისვენებს ქართველთა განმანათლებელი, მოციქულთასწორი წმინდა ნინო. დაბა "ბოდბისი" უფალმა ჯერ კიდევ წმინდა ნინოს სიცოცხლეში განადიდა, როგორც მისი სათნომყოფელის მომავალი განსასვენებელი, და იმ დროიდან მოყოლებული წმინდა ნინოს საფლავი მადლისა და კურნების ცხოველ წყაროდ იქცა ქართველი ერისათვის. წმინდა ნინო ხომ დღესაც ისევე იცავს და იფარავს ერს როგორც მაშინ რამდენიმე ასწლეულის წინათ. სწორედ წმიდა მოციქულთა სწორის ღვაწლით განმტკიცდა საქართველოში ქრისტიანობა. _ "უნათლისმცემლე ცხოვრებათა გაბნეულთა, ვითარცა მწყემსმან კეთილმან, შეკრიბენ და მიჰგვარან ქართველნი ღმერთისა მართალსა, წმიდაო ნინო, ევედრე შვილთა შენთათვის ქრისტესა ღმერთსა".

ნინო სიმბოლოა ამ დღესასწაულისა, გილოცავთ! მისი ძალა და მადლი გფარავდეთ!

***ეკა ცოფაია***

# პატრიარქი გვმოძღვრავს

**ლევან გაბეჩავა**

*"მოხედნა ღმერთმა და ყო ხსნა, სიტყვაი იგი ხორციელ იქმნა ერისა თვისისა" (ლკ. 1,67) და დაემკვიდრა ჩუენ შორის (ინ. 1,14).*



როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უდიდესი ინტერესი გამოიწვია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის საშობაო ეპისტოლემ.

ქრისტიანულ სწავლებაში სხვა დატვირთვა შეიძინა ოჯახურმა ურთიერთობებმა, ამდენად, ეპისტოლეში დიდი ყურადღებაა გამახვილებული ოჯახის სიწმინდეზე, ოჯახურ თანაცხოვრებაზე.

**"ცოლი როდია თავისი სხეულის უფალი, _ არამედ ქმარი, არცა ქმარია თავისი სხეულის უფალი, _ არამედ ცოლი" (1 კორინთ. 7. 4.) გვასწავლის მოციქული და დასძენს: "ვითარცა ეკლესია დამორჩილებულ არის ქრისტესა, ეგრეთცა ცოლნი _ თასთა ქმართა ყოვლითა. ქმართა გიყუარდეთ ცოლნი თვისნი, ვითარცა ქრისტემან შეიყუარა ეკლესია და თავი თვისი მისცა მისთვის". (ეფ. 5. 24-25)**

**ქმარი არის ოჯახის თავი, რადგან მას ღვთისაგან დაკისრებული აქვს პასუხისმგებლობა, საჭიროებისამებრ ყოველთვის დაიცვას ცოლი და შვილები, იყოს ერთგული წინამძღოლი და მასაზრდოებელი.**

**ქალსაც არანაკლები დანიშნულება აქვს. მისი მთავარი დანიშნულებაა შვილთა ყოლა, მათი აღზრდა და ოჯახზე ზრუნვა, რაც მის საზოგადოებრივ აქტიურობას არ გამორიცხავს.**

**ქრისტიანული ოჯახი ეფუძნება მღვდელმოქმედებით მადლს, რაც ქორწინების საიდუმლოს გულისხმობს.**

**... ცოლ-ქმრული ურთიერთობის შემდგომი ეტაპი არის შვილიერება. ბავშვების დაბადება, მათზე მზრუნველობა სრულყოფის კიბეზე ამაღლების ახალი შესაძლებლობაა, რადგან მეუღლეთა ურთიერთსიყვარული, ამ შემთხვევაში, გრძნობის ხელახალ გადანაწილებას ითხოვს.**

მიუხედავად ზემოთქმულისა, არის შემთხვევები, როცა უგულებელყოფილია პასუხისმგებლობა და მოვალეობები მეუღლეებისა და შვილების მიმართ. საშობაო ეპისტოლეში მისი უწმინდესობა განიხილავს იმ გარემოებებს, რომლებიც ხდება წინაპირობა ოჯახების დაშლისა, რაც ეროვნული ტრაგედიაა.

**ქორწინებაში მყოფთ ხშირად მხოლოდ გატაცება აკავშირებთ და თანაცხოვრების პირობებშიც ვერ აღწევენ იმ ერთგულებას, რისთვისაც არიან მოწოდებულნი.**

**ხდება ისიც, რომ მშობლები ზოგჯერ გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად ხდებიან ხელის შემწყობნი ოჯახის დანგრევისა, რადგან ისინი უხეშად ერევიან წყვილის ცხოვრებაში.**

ალკოჰოლის ზედმეტი გამოყენება, ნარკომანია ოჯახის სიმტკიცისა და ერთიანობის ერთ-ერთ ხელისშემშლელ პირობადაა მიჩნეული, არგუმენტირებულადაა დასაბუთებული, მაგალითებით გამყარებული, თუ როგორი უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია ოჯახურ სიმშვიდეზე, ჰარმონიაზე ზედმეტ ალკოჰოლს, ნარკომანიას.

ეპისტოლეში ვკითხულობთ: **სიცრუე იქცა დადებით მოვლენად, სხვაზე გადაბრალება-ჩვეულებად. გულგრილობა, _ წესად უზნეობა და თავაშვებულება, _ მისაბაძად. ცილისწამება და ძალადობა, _ ყოველდღიურ მოვლენად. ანუ ღვთის შიშის გარეშე მცხოვრებთათვის ცოდვითი ყოფა ნორმა ხდება, მათი რიცხვი კი ყველგან იზრდება.**

როგორც ცნობილია, გასულ 2014 წელს საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის არაერთი ფაქტი დაფიქსირდა, რაც შესაბამისი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების, საზოგადოების მსჯელობის საგანი გახდა, თუმცა, როგორც მისი უწმინდესობა ეპისტოლეში აღნიშნავს, მხოლოდ ამ თემით შემოფარგვლა საკმარისი არ არის. სამწუხაროა, რომ არ იმართება დისკუსიები და არ იგმობა თუნდაც იგივე თვითმკვლელობა და სხვა უმძიმესი ცოდვები. არ იგმობა აბორტიც, რომელიც ძალადობის ყველაზე საშინელი და საზარელი სახეა.

საშობაო ეპისტოლეში საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საზოგადოებაში ქართველი ქალის, ქართველი დედის როლსა და დანიშნულებას.

**ამდენი ტანჯვისა და ტკივილის, თავსმოხვეული "ახალი აზროვნებისა" და ყოველდღიური მოულოდნელობების ფონზე ოჯახები საქართველოში მაინც დგანან ზნეობის სადარაჯოზე, ეს სასწაულია რაც პირველ რიგში ქართველი ქალის, დედის დამსახურებაა. ქალის როლი ყოველთვის განსაკუთრებული იყო და არის ჩვენს ისტორიაში.**

**...მაცხოვრის შობის ბრწყინვალე დღეს ზეცა ივსება ანგელოზთა საგალობლით: "დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება". ბეთლემელი მწყემსებიც და ქალდეველნი მოგვნიც კვლავ მიიჩქარიან, რათა თაყვანი სცენ ყრმა იესოს და ყოვლადწმინდა ქალწულს. ჩვენც მოვიყაროთ მუხლნი გულისა ჩვენისანი წინაშე უფლისა და დედა ღვთისმშობელს შევთხოვოთ, განგვიღოს მოწყალების კარი, რათა მადლით აღავსოს ყოველნი მორჩილებით მისგან წყალობის მომლოდინენი. მაშ, განვიწმინდოთ სული, გონება და გული, ჩვენი ზრახვა და გრძნობები, ვაპატიოთ და შევურიგდეთ ერთმანეთს, რათა ღირს ვიქნეთ, მივეგებოთ ბეთლემში შობილ მაცხოვარს და ცოდვებისაგან განთავისუფლებულებმა აღმოვსთქვათ: ემანუელ, _ ჩვენთან არს ღმერთი!**

**ღმერთს ებარებოდეთ.**

**იხარეთ ორსავე სოფელსა შინა.**

ბრძანებს ეპისტოლეს დასკვნით ნაწილში უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია მეორე.

საშობაო ეპისტოლეში ღრმა შინაარსიანად, მეცნიერულ დონეზეა წარმოდგენილი ჩვენი ყოფის, ისტორიის, კულტურის, დღევანდელობის ცალკეული მომენტები და მოცემულია მათი ჭეშმარიტი შეფასება. ვიმედოვნებთ, საშობაო ეპისტოლეს ყურადღებით გაეცნობა საზოგადოება, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, სწორედ მათ უნდა გაიხადონ სახელმძღვანელოდ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის საჭეთმპყრობელის ბრძნული შეგონებანი.

**გალერეა**

# ახალგაზრდა სტიქაროსანი თანატოლებს ეკლესიასთან სიახლოვისკენ მოუწოდებს

**ლევან გაბეჩავა**

რუბრიკა "გალერეა ამჯერად კიდევ ერთ ნიჭიერ, პერსპექტიულ, საინტერესო ახალგაზრდას მასპინძლობს.

**გიორგი (გოგიტა) გიორგაძე 1988 წელს დაიბადა, პროფესიით ისტორიკოს-თეოლოგია. ამჟამად ნოღის წმინდა გიორგის და გორმაღლის ილია თეზბიტელის სახელობის ტაძრების სტიქაროსანია. ჰყავს მეუღლე _ სალომე ხუჭუა და სამი წლის ვაჟიშვილი საბა. ჰობი _ ფოტოხელოვნება.**

გიორგიმ ჩვენი ყურადღება სასულიერო პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული წერილებით მიიქცია, ახალგაზრდა კაცი მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის, ხელოვნების, ისტორიის დამფასებელია და ცდილობს, ამ მამულიშვილურ საქმეში მოკრძალებული წვლილი თავადაც შეიტანოს. მის ოჯახში მოწყობილი ეთნოგრაფიული კუთხე ამისი ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითია.

ქართველ კლასიკოსთაგან უპირატესობას ილია ჭავჭავაძეს და მის შემოქმედებას ანიჭებს, _ ილია ჭავჭავაძეს, წმინდა ილია მართალს ხომ ჩვენი ცხოვრების, ყოფის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე აქვს ყურადღება გამახვილებული და ფუნდამენტური აზრი გამოთქმული. რაც მთავარია, ბუმბერაზი ერისკაცის ნააზრევს მნიშვნელობა წელთა სვლასთან ერთად არათუ დაუკარგავს, პი-



რიქით, ახლებურ დატვირთვას იძენს. _ ამბობს იგი.

ხალხური ფოლკლორი, სიმღერები, ცეკვები, რომლებშიც ჩვენი ერის შავბნელი წარსული, სევდა და ლხენაა გაცოცხლებული და პირვანდელი სახით ჩვენამდე მოღწეული, ჩვენს რესპონდენტს, როგორც ყველა ჭეშმარიტ ქართველს, ერთგვარ სიამაყეს ჰგვრის, რამეთუ ქართველი ერი ბედნიერი შემთხვევის გამო იმ ხალხთა შორისა ვართ, მრავალსაუკუნოვანი, საოცრად თვითმყოფადი ფოლკლორული ნიმუშებით რომ შეგვიძლია მოვიწონოთ თავი.

ყველა დროის გამოჩენილ ქართველ პოლიტიკოსად გოგიტა გიორგაძე წმინდა მეფე დავით აღმაშენებელს მიიჩნევს, რომელმაც აოხრებული იავარქმნილი ქვეყანა, ერთიან, ძლიერ, აღორძინებულ სახელმწიფოდ გადააქცია.

როგორც ამბობს, დროის უქონლობის გამო აქტიურ სპორტში ჩართული არაა, თუმცა, ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია, სიამოვნებს ლამაზი, აზარტული თამაშის ხილვა.

ჩამქრალი კერები, დაცარიელებული სოფლები საქართველოს ყველა კუთხეში, მთასა და ბარში ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. ამ მხრივ გამონაკლისს არც ჩვენი რესპონდენტის მშობლიური სოფელი გორმაღალი წარმოადგენს.

_ მიგრაცია ჩვენი სოფლის ერთ-ერთ ყველაზე დიდი ტკივილია, სოფლის სკოლაში, სადაც არცთუ შორეულ წარსულში თითო კლასში 10-15 მოსწავლე იყო, დღეს მოსწავლეთა კონტინგენტი ძალზე მცირეა, სოფელში, როგორც ქვეყანაში პრობლემაა უმუშევრობა, ახალგაზრდებს არ ძალუძთ მოახდინონ თავიანთი თავის რეალიზება, ვიმედოვნებ, მომავალი აწმყოზე უკეთესი იქნება. _ აღნიშნავს რესპონდენტი.



დღეს, როცა ტექნიკური პროგრესი კოსმოსური სიჩქარით მიიწევს წინ და ინტერნეტი ყოველდღიურობაში უფრო და უფრო მკვიდრდება, როგორც არასოდეს, ისეა საჭირო, რომ ახალგაზრდობას შევაყვაროთ წიგნი, წიგნთან მეგობრობა აუცილებელია, გავიხსენოთ უწმინდესისა და უნეტარესის შესაბამისი რჩევა-მოწოდება, რა მშვენიერადაა ნათქვამი: უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა, _ თხრობას განაგრძობს რესპონდენტი და ახალგაზრდობას მეტი ეკლესიურობის, მეტი სულიერებისაკენ მოუწოდებს.

წარმატებებს ვუსურვებთ ღვთის მოშიშ, ღვთის სიყვარულით გულანთებულ ახალგაზრდას სამომავლოდ, ვიმედოვნებთ, მის ნააზრევს კვლავაც ხშირად ვიხილავთ საერო თუ სასულიერო პერიოდულ გამოცემებში.

უფლის მადლი და წყალობა არ მოჰკლებოდეს!




წლის პირველივე ბრიფინგი ჯანდაცვის მინისტრის ახალი ინიციატივით დაიწყო. 2015 წელი, C ჰეპატიტთან ბრძოლის წელი იქნება _ ეს წლის მთავარი გამოწვევა გახდება ქვეყნის მთავრობისთვის. უპრეცედენტო პროექტი თებერვლიდან დაიწყება. იგი არა მხოლოდ მედიკამენტების მიწოდებას, არამედ სწორ დიაგნოსტიკა-მკურნალობას გულისხმობს, რაც, პირველ რიგში, დაავადების პრევენციას და დაავადებულთა შესაბამისი მედიკამენტებით უწრუნველყოფას, აგრეთვე, საჭირო სერვისების მაქსიმალურად მაღალი ხარისხით მიწოდებას დაარეგულირებს.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი მთავრობასთან ერთად საზოგადოების წევრებს, მედია საშუალებებს მოუწოდებს საკუთარი მოსაზრებები გამოხატონ და მისწერონ ჯანდაცვის სამინისტროს 3 გზავნილი, თუ როგორ შეიძლება C ჰეპატიტის დამარცხება. პროგრამა ‘‘საქართველო C ჰეპატიტის გარეშე’’ მთავრობის სრული დაფინანსებით ხორციელდება. ‘‘ერთმანეთს დავეხმაროთ და ერთად დავამარცხოთ C ჰეპატიტი. ეს პროექტი თავისი მასშტაბით არის იმ მოცულობის, რომ განხორციელება შეუძლებელი იქნება, თუ არა მთავრობის მხარდაჭერა. პროექტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი კურირებს. რაც შეეხება საინფორმაციო კამპანიას, მას ე. წ. კასკადური ხასიათი ექნება’’. _ ამბობს დავით სერგეენკო.

გზავნილები და აზრის გამოხატვა ჯანდაცვის სამინისტროს ფესიბუქ გვერდზე უნდა მოხდეს, რათა ადვილად გაკონტროლდეს ისინი და მივიდეს სამინისტრომდე. დაავადების ელიმინაციის პროგრამაში ყველა დაავადებული ჩაერთვება. მკურნალობა ხელმისაწვდომი იქნება პატიმრებისთვისაც. მკურნალობის ხარისხი გაიზრდება და გაუმჯობესდება.

ბოლო სტატისტიკის მიხედვით ქვეყანაში 200 ათასამდე ადამიანია C ჰეპატიტით დაავადებული.

გაზეთ ‘‘სამტრედიის მაცნეს’’ კოლექტივი უერთდება ამ აქციას.

თეა ბაბუნაშვილი

## ‘‘წიგნი ყველა სოფლის ბიბლიოთეკას’’

ასე ჰქვია პროექტს, რომლის ფარგლებშიც სამტრედიის მუნიციპალიტეტში მოქმედმა ყველა ბიბლიოთეკამ 500 ლარის ღირებულების ვაუჩერი მიიღო. თავის მხრივ, ბიბლიოთეკებმა წიგნადი ფონდი მეტად საინტერესო, საჭირო გამოცემებით შეავსეს.

ქალთა ბედნიერება (ემილ ზოლა);
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი (ვიქტორ ჰიუგო);
წითელი და შავი (სტენდალი);
დიდი ქართველი მეფეები;
საქართველოს საოცრებანი;
დანაშაული და სასჯელი (თეოდორ დოსტოევსკი);
ჩემი ნაღვლიანი მეძავები (მარკესი);
ჯინსების თაობა (დათო ტურაშვილი);
ქართული ლიტერატურის კლასიკოსები ბავშვებისათვის;
მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები ბავშვებისათვის;
მე მიყვარს კითხვა (მარკ ტვენის სამი მოთხრობა);

მატეანე ქართველთა და სხვა მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გაფორმებული მეტად საინტერესო წიგნებით მკითხველებს შეუძლიათ ისარგებლონ და გაიმდიდრონ ცოდნის სალარო.

ვიმედოვნებთ, ახალი გამოცემები განსაკუთრებით დააინტერესებს ახალგაზრდობას, აბიტურიენტებს.

აუცილებელია, კმაყოფილებით აღინიშნოს ის გარემოება, რომ ცენტრალური ხელისუფლების ეს პატრიოტული ნაბიჯი დიდად შეუწყობს ხელს მოსახლეობის წიგნიერების დონის შემდგომ ამაღლებას და ახალგაზრდების კიდევ უფრო დაახლოვებას წიგნებთან.

ლევან გაბიჩავა



## საუკეთესო საჩუქარი დაბადების დღეზე

ნინო ნანიტაშვილი

სერგო კოპალეიშვილი 2015 წლის 12 იანვრიდან სამტრედიის მუნიციპალიტეტში საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო საკითხებში მთავარი სპეციალისტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. იგი 2014 წლის საჯარო მოხელეთა შესარჩევ კონკურსში მონაწილეობდა, წარმატებით გადალახა სამივე ეტა-



პი და საკრებულოს აპარატის თანამშრომელი გახდა.

სერგო კოპალეიშვილი 1990 წლის 12 იანვარს დაიბადა. 25 წლის შესრულებას სიმბოლურად, დაემთხვა ადგილობრივ თვითმმართველობაში საჯარო მოხელედ საქმიანობის დაწყება.

სერგო კოპალეიშვილი ორ პროფესიას ფლობს, თავდაპირველად მან დაამთავრა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ისტორიის სპეციალობით. მოგვიანებით იმავე უნივერსიტეტში იგივე ფაკულტეტის მაგისტრის სპეციალობა _ საერთაშორისო ურთიერთობები.

დღემდე სერგო კოპალეიშვილი სავადმყოფო-პოლიკლინიკურ გაერთიანებაში იურისტად, ხოლო სოფელ ეწრის საჯარო სკოლის ადმინისტრაციაში მუშაობდა.

სერგო კოპალეიშვილი: ‘‘გახარებული ვარ ჩემი მიღწევით. ბედნიერი ვარ, რომ მომავალში მომიწევს ისეთ ადამიანებთან მუშაობა, როგორიც ბატონი ნუგზარ ჯამბურიაა. პირობას ვდებ, რომ ჩემი საქმიანობით კეთილსინდისიერად ვემსახურები სამტრედიის მუნიციპალიტეტსა და მოსახლეობას. ნამდვილად, საუცხოო საჩუქარი მივიღე 12 იანვარს, ჩემს დაბადების 25 წლისთავზე’’.

სერგოსა და კონკურსში გამარჯვებულ დანარჩენ საჯარო მოხელეებს 12 იანვარს სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის სააქტო დარბაზში მუნიციპალიტეტის გამგებელი, საკრებულოს თავმჯდომარე და სხვა ოფიციალური პირები შეხვდნენ, მიულოცეს შობა-ახალი წელი, კონკურსში გამარჯვება და სამსახურის დაწყება.

ვალერიანე ფოცხვერია, მუნიციპალიტეტის გამგებელი: ‘‘აქ წარმოდგენილი საზოგადოებიდან ნაწილს ვიცნობ, ნაწილი ახლა გავიცანი. მათი კვალიფიკაცია გამოვლინდა კომისიის წინაშე, ამიერიდან ჩვენ შევაფასებთ როგორი საჯარო მოხელეები იქნებიან. ადრე მე მათ ვუთხარი, რომ ისინი უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მუნიციპალიტეტისა და თავიანთი სამსახურის ერთგულები უნდა იყვნენ და არა რომელიმე პოლიტიკური ძალისა’’.

ნუგზარ ჯამბურია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: ‘‘12 იანვარს 5 ახალი თანამშრომელი შევიძინეთ. მათ შორის არის განათლებული, პერსპექტიული, ახალგაზრდა მამაკაცი. ძალიან გამიხარდა, რომ მას ზუსტად იმ დღეს შეუსრულდა 25 წელი, როცა სერგო ახალ სამსახურში მოვიდა, როგორც საკრებულოს მთავარი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში. 39-ვე ახალ თანამშრომელს ვუსურვებ საჯარო სამსახურში ნაყოფიერ მუშაობას, წარმატებებს პირად ცხოვრებაში’’.

კონკურსში გამარჯვებული თანამშრომლები 12 იანვარს თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ.

## სააღმზრდელო პროცესის განახლება საბავშვო ბაღებში გვიანდება

ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, როდის განახლდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესი. ეს უკანასკნელი 2014 წლის 26 დეკემბერს შეჩერდა, სავარაუდოდ, 20 იანვრისთვის უნდა განახლებულიყო.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებაში დაბეჯითებით იციან, რომ სამტრედიაში 20 იანვარს საბავშვო ბაღები ფუნქციონირებას ვერ განაახლებენ, რადგან დეკემბერში გამოცხადებული ტენდერი არ შედგა, მიზეზს ხელმძღვანელობა იმით ხსნის, რომ გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მსურველი არ გამოჩნდა. ამის გამომწვევი სხვადასხვა ფაქტორი შეიძლება, იყოს, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ დოლარის კურსის ცვალებადობა ამაზე გავლენას ახდენს. 16 იანვარს სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებამ ტენდერი ხელახლა გამოაცხადა. წინადადებების მიღება 19 იანვრამდე დაიწყება და აღნიშნული პროცესი 23 იანვარს დამთავრდება. თუ კვლავ არ გამოჩნდა მსურველი და ტენდერი კიდევ ჩაიშალა, საკითხი განსახილველად მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაეცემა. ამის შემდეგ გაერთიანება ნებართვას მიიღებს, ერთი თვის ვადით მიეცეს უფლება, ახალი ტენდერის გამოცხადებამდე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით მომწოდებელი თავად აიყვანოს.



ნანა დუნდუა, № 4 ბაგა-ბაღის მმართველი: ‘‘მსგავსი დაგვიანებები წინა წლებშიც იყო, სააღმზრდელო პროცესი თებერვალში დაიწყო. სასურველია, პროცესი დიდხანს არ გაგრძელდეს, რადგან მშობლები გვაკითხავენ, გვირეკავენ და გვთხოვენ, მალე მივიღოთ მათი შვილები საბავშვო ბაღებში’’.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების არქივში დევს ინფორმაცია, რომ ორი წლის წინ იგივე მიზეზით ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო პროცესი 19 თებერვალს განახლდა.

ნინო ნანიტაშვილი

# ''აპლიკანტი'' და სხვა



***ყოველი ერი ვალდებულია, სანამ შეუძლიან, იბრძოლოს თავისი მამულის რწმენის, ენის, ვინაობის, ეროვნების დასაცავად, შესანახავად.***

***ნ. ნიკოლაძე***

2014 წლის 19 დეკემბრის ''სამტრედიის მაცნეს'' ნომერი გადავშალე თუ არა, თვალში მომხვდა სიტყვა ''აპლიკანტი''. უცხოური სიტყვების მოჭარბება უკანასკნელ ხანებში რა გასაკვირია და ისიც უადგილოდ. მაგრამ ამჟამად გულმა არ მომითმინა, მოვიძიე უცხო სიტყვათა ლექსიკონში და ჟღერადობით მსგავსს რამდენიმე სიტყვას გადავაწყდი: ''აპლიკაცია'', რაც ნიშნავს ''მიდებას'', ''მორგებას'', ''აპლიკე'' _ ''ზედ დადებულს'', ''გადაკრულს''. იქვე იყო სიტყვა ''აპლიტიც'', რომლის მნიშვნელობა სრულიად განსხვავებული იყო (უბრალო წვრილმარცვლოვან გრანიტს ნიშნავდა). ჩემდა სამწუხაროდ, არც ერთი განსაზღვრება აზრობრივად არ ესადაგებოდა გაზეთში გამოყენებული სიტყვის მნიშვნელობას. რაღაც უაზრობა გამოდიოდა. მერე ინტერნეტს მივმართე ისევ და მხოლოდ იქ ძლივს მოვიძიე მისი განმარტება _ თურმე ''აპლიკანტი'' ''მონაწილეობის მიღების მსურველს'' ნიშნავს.

ძლივს, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა!

მაგრამ კიდევ ერთ გაუგებრობას შევეჯახე, ტექსტის პირველ წინადადებაშივე: ''საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ 9 დეკემბერს საჯარო მოხელეთა კონკურსში მონაწილე აპლიკანტების განცხადებათა გადარჩევა დაასრულა''... და ა. შ. გამოდის კონკურსში მონაწილე ამავდროულად მონაწილეობის მიღების მსურველიც ყოფილა. თუ მონაწილეა, მონაწილეობს და ესაა, მონაწილეობის მიღების მსურველნი კი რაღაც გარკვეული პროცედურების გავლის შემდეგ მიიღებენ კონკურსში თუ სხვა მსგავს ღონისძიებებში (''პროექტებში'', როგორც ახლა ამბობენ) მონაწილეობას.

რაღაც შეუსაბამობა გამოვიდა!

რა თქმა უნდა, ასეთ კონკურსში მონაწილეს, ან მონაწილეობის მსურველს ინგლისურის კარგი ან უკიდურეს შემთხვევაში, გაქცეული ინგლისელის მოსაბრუნებელი ინგლისურის ცოდნა მაინც მოეთხოვება! მაგრამ ქართულად თუ ვერ ეწყობა აზრი, რა აზრი აქვს უცხო სიტყვების რახარუხს და ვითომ ენის ცოდნას?!

ენა მეტად მგრძნობიარე, სათუთი ფენომენია! განძი და საუნჯე რომ არის ერისა და ქვეყნისთვის, ეს კარგად ცნობილი, მუდამ გაუცვეთავი შეგონებაა!

იგი ეროვნული მეხსიერების მატარებელიცაა, უწინარეს ყოვლისა! საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ისტორიული კატაკლიზმების, ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური სივრცისა თუ სხვადასხვა მიზეზთა გამო ჩვენს ენაში უამრავი უცხო სიტყვა შემოვიდა და დამკვიდრდა. ზოგი ხმარებაში გაცვდა, ზოგმა კი ისე მოიკიდა ფეხი ჩვენს ყოველდღიურ მეტყველებაში, ისე გაითავისა და შეისისხლხორცა ქართულმა მეტყველებამ, მას მშობლიურისგან ვერც კი ვარჩევთ, არ გვეუცხოება, არ გვეხამუშება! თავშიც არ მოგვდის, ხშირად ვიკითხოთ მისი წარმომავლობა, შესაბამისობა და სხვა.

ყოველთვის, როცა პოლიტიკურ ექსპანსიას თან ახლდა მოძალადე მხარისაგან უცხო ენის, უცხო სიტყვათა ნებით თუ უნებლიე, ძალადობრივად დამკვიდრების პრეცედენტი, ქართველი მოღვაწენი, მწერლები და პოეტები, უწინარეს ყოვლისა, ერის გულშემატკივარი მამულიშვილნი ძალზე ფრთხილად, რუდუნებით ეკიდებოდნენ ქართული სიტყვიერების, მართლმეტყველების საკითხს. ქართველ მკითხველში სიყვარულს, პოპულარობას, ეროვნულ მწერლად თუ პოეტად აღიარებას კარგი მექართულე, დახვეწილი ქართულით, თუნდაც კუთხურად მოსაუბრე შემოქმედი იმკვიდრებდა ყოველთვის! (კუთხურობა ენას რომ არ აკნინებს, პირიქით _ ამდიდრებს მას, ეს უდავო ჭეშმარიტებაა!)

ენის, ისე, როგორც მამულის დაცვაში ეკლესიას მოწინავე მებრძოლის პოზიცია ეჭირა მუდამ. ათონელი მამები, გრიგოლ ხანძთელი, პეტრე იბერი, არსენ იყალთოელი, მოგვიანებით სულხან-საბა თავისი ''სიტყვის კონით'', თავიანთი მოღვაწეობით ქართულ ენაზე, ქართული ენით გამოხატული ქართული სულიერების მსახურებად გვევლინებიან!

უცნობი ბერის მიერ სადღაც უცხოეთში აგებული ქართული ტაძრის იატაკზე ამოტვიფრული ქართული წარწერაც: ''დექით მტკიცედ და შეურყევლად'' ქართველობის, ქართული ენის, მამულის მცნების დასაცავი მოწოდება იყო!

მერე მოვიდნენ ''თერგდალეულები'', გოგებაშვილი თავისი ''დედა ენით''...

გასული საუკუნის 20-იან წლებში, როდესაც წითელ ტერორთან ერთად გარუსების პოლიტიკამ ზენიტს მიაღწია, ერის გადარჩენისთვის ბრძოლა ისევ ენის სიწმინდის დაცვითა და გადარჩენით სცადეს. და ამას საფუძველი ყველაზე დიდი ევროპელი ქართველის _ დიდი ნიკო ნიკოლაძის ოჯახში ჩაეყარა! ნიკოს ქალიშვილი ქალბატონი რუსუდან ნიკოლაძე ყოველთვის ამაყობდა იმით, რომ მამამისზე ერთი ენით მეტი იცოდა. თუ ნიკო ექვს ენაზე წერდა და საუბრობდა თავისუფლად, რუსუდანმა მეშვიდე ენა, ჩეხურიც კარგად იცოდა (''შევარდენის'' დამფუძნებელთა ჩეხი მწვრთნელის, მასწავლებლისა და მეგობრის, იანუშ ლუკეშის მეშვეობით). სწორედ ნიკო ნიკოლაძის შვილებმა, ქიმიკოსმა რუსუდანმა და მათემატიკოსმა, ქიმიკოსმა, მეტალურგმა, პირველმა ქართველმა კიბერნეტიკოსმა, სპორტსმენმა და სხვა უამრავი დარგის სპეციალისტმა გიორგიმ ისტორიკოს ვუკოლ ბერიძესთან ერთად _ 1918-1919 წლებში თავიანთი დიდი ჯიხაიშის მამულში ჩაუყარეს საფუძველი ქართულ სამეცნიერო-ტექნიკურ, სპორტულ, მათემატიკურ ტერმინოლოგიას! ნათურა, დენი, ელ-ჭექი, ღერძი, კუთხე, წრფე და სხვა ათასზე მეტი ქართული სიტყვა შეჰმატეს მათ მშობლიურ ენას, მათემატიკის ქართულ მეტყველებასთან შესატყვისობაში მოყვანაც კი სცადეს!

ნიკოლაძეებზე უკეთ ვის ჰქონდა გაცნობიერებული უცხო, ევროპული ენა, კულტურა, ცივილიზაცია, მაგრამ მშობლიური, ქართული ენის სიწმინდის დაცვა, მისი მოვლა და გამდიდრება თავიანთ ვალად მიაჩნდათ და ემაყებოდათ. ამიტომაც მათთან უცხოურს და ქართულს, ეროვნულს თავ-თავისი ადგილი ჰქონდა და ყველაფერი ერთობლიობაში ქართული საქმის კეთებას ემსახურებოდა!

ქართული საქმის კეთება, მამულის უანგარო სიყვარული და მსახურება სხვა ენაზეც შეიძლებაო, უთქვამს ნიკო ნიკოლაძეს, მაგრამ ვაი, რომ დღეს არც ქართულ საქმეს ვაკეთებთ და წესიერად არც ქართულად ვმეტყველებთ!

ბოლოს, კვლავ პირველ სიტყვასა ზედა მოვიდეთ: ''აპლიკანტი'' თუ ''აპლიკაცია'' რა შუაშიაო, იკითხავს მავანი. შეიძლება რამდენიმე მიზეზი მოვიხმო ამის ასახსნელად: ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნე, უცხო სიტყვებით თავის მოწონებამ, შესაძლოა უხერხულ სიტუაციაშიც ჩაგვაგდოს, შესაძლოა, ტავტოლოგია ან ურთიერთგამომრიცხველი, აზრობრივად ურთიერთშეუსაბამო კონგლომერატი (სხვადასხვა კომპონენტების მექანიკური შეერთება) მივიღოთ; მერე, რაღა ღვარჭნილი, მსმენელისა და მკითხველთა უმრავლესობისათვის გაუგებარი ენით ვწერთ?! ღმერთმა მოგვცა ეს დალოცვილი, მდიდარი, ყოვლისა და ყველაფრის გამომხატველი, უღრმესი და უნატიფესი მშობლიური ქართული ენა, რომელზედაც ''რაგინდ არა სიტყვა და აზრი გამოითქმის'' (ნიკო მარი). ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადამიანთა უმრავლესობისთვის ის არის მისაღები, აქტუალური, სათავისო და პრაქტიკული, რაც ადვილად აღსაქმელი და შესათვისებელია.

**''ქართული ენა იმდენად მდიდარია, რომ თავისი შინაგანი თვისებებით მსოფლიო მნიშვნელობის ენაა''.**

***ნიკო მარი***

ან ვით გაიგებს უბრალო გლეხი, რომელსაც განახევრებულ, მეზობლებისაგან დაცლილ სოფელში არაფერი დარჩენია, თურქეთსა თუ საბერძნეთში და სად გინდა, მოჯამაგირედ წასვლა სხვის კარზე სიკვდილივით არ უნდა, ოცნებობს, იქნებ, აქ, რამე ხელფასიანი, სტაბილური სამსახური გამოჩნდესო, როგორ გაიგოს ამდენი გაუგებარი უცხო სიტყვით გადმოცემული ინფორმაცია?

უცხოური ''აპლიკანტის'' შესატყვისი ქართული სიტყვათშეთანხმება ''მონაწილეობის მიღების მსურველის'' გამოყენება ამ კონკრეტულ შემთხვევაში თავისი ფორმით, ჟღერადობით, შინაარსით ბევრად უფრო მეტი ინფორმაციის შემცველია მკითხველისა და მსმენელისთვისაც, და შესაბამისად მოტივაცია ამ და სხვა კონკურსებში მონაწილეობის მიღებისა, ფინანსურ-მატერიალურის გარდა, წმინდა მორალურ-ზნეობრივ მუხტსაც შეიცავს უთუოდ! ყველაფერი ერთად კი საზოგადოების ამ ბოლო დროს ასე დეგრადირებული, აღრეული და უმეტესად დაკარგული ღირებულებების დაბრუნება-დალაგებასაც შეუწყობს ხელს. ამას ფეხდაფეხ სხვა ქართული სიკეთეებიც მოჰყვება და სოფელიც აშენდება!

***გიგანტი ბიბილეიშვილი***

# ჩვენ დიდი ნიკო ნიკოლაძე გვასწავლის!



1500 წლის თბილისთან, ბევრად უხნეს ქუთაისთან შედარებით ჩვენი ქალაქი სამტრედია ძალიან პატარაა. შემოდგომაზე იგი დაარსებიდან 145 წელს შეასრულებს.

საგულისხმოა, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მდინარე რიონისა და ცხენისწყლის შესართავთან ფუნქციონირებდა ქალაქი ორპირი, რომელიც გემთმიმოსვლის და სავაჭრო ქალაქს წარმოადგენდა. შემდგომ როგორც ცნობილია, ქალაქ სამტრედიის წარმოშობას სათავე სარკინიგზო ხაზის გაყვანამ დაუდო. სარკინიგზო მაგისტრალი კი დიდმა ნიკო ნიკოლაძემ გაიყვანა. ის ხელმძღვანელობდა რკინიგზის მშენებლობას, კერძოდ, 1872-1874 წლებში მისი უშუალო ხელმძღვანელობით იქნა გაყვანილი ამიერკავკასიაში პირველი ყველაზე დიდი ფოთი-თბილისის რკინიგზა, რისთვისაც ნიკო ნიკოლაძე ოქროს ჟეტონით დაჯილდოვდა. მისი ხელმძღვანელობით გაყვანილი იქნა აგრეთვე, ჭიათურისა და ტყიბულის სარკინიგზო ხაზები, გაიყვანა ზუგდიდი-ქუთაისის სარკინიგზო ხაზი 90-იან წლებში, სურვილი ჰქონდა ქუთაისი-ხონის რკინიგზის მშენებლობის, რაც განუხორციელებელ ოცნებად დარჩა.

როცა ფოთი-თბილისის რკინიგზა გაჰყავდათ, ნ. ნიკოლაძეს უნდოდა ამ ხაზს ქუთაისში გაევლო, რადგანაც ქუთაისი ძველ სავაჭრო გზაზე მდებარეობდა, რაც არსებითად განსაზღვრავდა ქალაქის კეთილდღეობას. მას ეშინოდა, თუ რკინიგზა ქუთაისს გვერდს აუვლიდა, იგი დაქვეითდებოდა, მნიშვნელობას დაჰკარგავდა. ქუთაისი რკინიგზის მოშორებით ჩიხში დარჩა. ნ. ნიკოლაძის წუხილი გამართლდა, ქალაქი ძველებურ ელფერს ჰკარგავდა. სახლები სამწუხაროდ დაცარიელდა. ბოლოს და ბოლოს, ნ. ნიკოლაძის შეუპოვარმა შრომამ, მონდომებამ შედეგი გამოიღო და შვიდვერსნახევრიანი რკინიგზის ლიანდაგის დაგება მოხერხდა. ნ. ნიკოლაძე ამით არ დაკმაყოფილდა, დიდი ბრძოლის შედეგად მიაღწია, რომ 1883 წელს ტყიბულის რკინიგზის მშენებლობის პროექტი დაემტკიცებინათ. მშენებლობა ოთხ წელს გაგრძელდა 1887 წლის 20 მაისს შეამოწმეს და მიიღეს რკინიგზა. 15 დეკემბერს კი პირველმა მატარებელმა გაიარა.

ნ. ნიკოლაძე თავდადებით ზრუნავდა ასევე, ქართული მარგანეცის სარგებლიანად გამოყენებისათვის, რასაც დიდი ენერგია შეალია. უგზოობის პირობებში (ურმებით ეზიდებოდნენ მარგანეცს) ძვირდებოდა მარგანეცის ღირებულება და კონკურენციას ვერ უძლებდა. ნიკოს შეუპოვარმა მონდომებამ თავისი გაიტანა და შედეგად, 1891 წლის 15 ივნისს ჭიათურა-შორაპნის რკინიგზის მშენებლობის საკითხი გადაწყდა. 1895 წლის 4 თებერვალს ჭიათურა-შორაპნის ვიწროლიანდაგიანმა რკინიგზამ ფუნქციონირება დაიწყო.

სწორედ საქართველოში რკინიგზის მაგისტრალის აღმშენებლობამ განაპირობა ქ. სამტრედიის დაარსება და მისი ინფრასტრუქტურის განვითარება, რამაც 80-იან წლებში უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. ყოველივე ამან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სამტრედიის სარკინიგზო კვანძად ჩამოყალიბებაში. რკინიგზის ტრანსპორტი არამარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მთელი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ სარკინიგზო-სატრანსპორტო გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობითაც იყო განპირობებული.

რაოდენ გულსაწყვეტია, რომ ყოველივე ეს წარსულში დარჩა. დღეს სამრეწველო პოტენციალი დაკნინებულია, ქალაქის ფუნქცია _ გაურკვეველი. სამტრედიას იძულებით ტოვებს ძირი მოსახლეობა, რაც მთავარია, ახალგაზრდა თაობა, მთავარი მიზეზი უმუშევრობაა.

ისმის კითხვა: რაში ვეძებოთ გამოსავალი?

ვფიქრობთ, რომ სამტრედიისათვის მთავარი ეკონომიკური ბერკეტი, მისი მთავარი ფუნქციის, სარკინიგზო ქალაქად აღდგენაა. ამის მაგალითს იძლევა, საქართველოს დამსახურებული არქიტექტორის, ღირსეული მამულიშვილის ღვაწლმოსილი პიროვნების, ბატონი გიგა ბათიაშვილის მოსაზრება: რათა წარმოჩნდეს ქ. სამტრედიის როლი _ როგორც მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძის, მოხდეს მისი ბმა ანაკლიის მშენებარე პორტზე. შავ ზღვაზე 100 კილომეტრიანი ზოლი, რომელიც საქართველოს შემორჩა, უძვირფასესი ტერიტორიაა მთელი მსოფლიოსთვის, პორტმა ნორმალურად რომ იმუშაოს 80 კილომეტრიანი ხმელეთი არ ეყოფა. ამიტომაც სასურველია, ტერმინალების მშენებლობა შავი ზღვის მოშორებით, რის საშუალებას იძლევა სამტრედიის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს სამუშაო ადგილების შექმნას. ახლო წარსულში სახელმწიფო მზრუნველობას იჩენდა, რომ მხარე არ დაცლილიყო მკვიდრი მოსახლეობისაგან, ჰქმნიდა ახალ საწარმოებს. ამის თვალნათელი მაგალითია ხარაგაულის რაიონი _ მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა, ახალდაბის სააავეჯო კომბინატი _ შექმნილმა სამუშაო ადგილმა, დაბა დაცარიელებას გადაარჩინა და მკვიდრი მოსახლეობა ადგილზე დაამაგრა იმ ხანად.

ძალზე საგულისხმო და მნიშვნელოვანია ნიკო ნიკოლაძის მოსაზრებები: ''სიმდიდრე რომ არ დაიკარგება და ბოლოს პატრონი მაინც გამოუჩნდება, ამას მტკიცება არ სჭირდება. გასარკვევი ის არის, პატრონი ვინ აღმოჩნდება _ შინაური თუ გარეული _ ვინ მოიხმარს. ის ვისაც უფალმა უბოძა, თუ უცხო ცხრა მთას იქიდან მოსული?''

ის სვამდა კითხვას: ''ნუთუ შესაძლებელია სხვისი ჯობნა, თუკი ჩვენ ამ სხვას არ გავიცნობთ? ნუთუ ბატონ ილ. ჭავჭავაძეს ქართული გული არ უძგერს და ნამდვილი ქართული გრძნობა არ აღელვებს, რაკი მარტო რუსული წიგნიერებით გამოზრდილია, რაკი რუსეთში შეუძენია მთელი თავისი ცოდნა, და რუსულ სასწავლებელში გაუტარებია მთე-

# წიგნი-სადღეგრძელო

პატივცემულო მკითხველო! ადრინდელზე კრინტს არ დავძრავ, მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ქართული საზოგადოებისთვის და, კარგად ცნობილი 16 მკვლევარ-მეცნიერი ქართველისგან მათი ლამაზი ხელრთვით დამშვენებული, ორ ათეულზე მეტი ბრწყინვალედ შესრულებული მეცნიერული ნაშრომი და საკითხავი წიგნი მერგო. კეთილ სახსოვრად, რომელთა გაცნობამ ვაღიარებ საფიქრალიც მომიმატა და ბევრი თავსატეხიც კი გამიჩინა. მაგრამ რას ვიქმ, ბედს ვერ გარდაუხვალ...

ჩვენს მდიდარ და მრავალფეროვან ქართულ ლიტერატურაში, განსხვავებით ევროპულისგან, ერთობ მწირედაა წარმოდგენილი მემუარული ჟანრი. არადა, ფრიად და ფრიად საინტერესო კითხვადი ჟანრი რომ არის, საყოველთაოდ ცნობილია. ამ ჟანრის ლიტერატურის შექმნას მარტო საპენსიო ასაკი არ ჰყოფნის... ის მთელი განვლილი ცხოვრების მანძილზე იწერება თუ იქმნება კაცის გონება-არსებაში და თუნდაც ამიტომაც, სწორედ რომ ფრიად სასიამოვნო მოულოდნელობა აღმოჩნდა, ჩვენი რაიონის უფროსი თაობის ერთ-ერთი ავტორიტეტული და ღირსეული წარმომადგენლის, პატივცემული ბორის ვიქტორის ძე ფოცხვერაშვილის შესანიშნავად მოაზრებულ-შესრულებულ-გამოცემული, სოლიდური ავტობიოგრაფიული წიგნი-სადღეგრძელო, ''წარსული რომელიც დასავიწყებლად არ მეტება''.

აქვე, თქვენი ნებართვით, სულ მცირეოდენი განმარტება. ტერმინი ''სადღეგრძელო'' ''თამადისაგან'' განსხვავებით ნაღდი ქართული სიტყვაა და ვისიმე დღეგრძელობისთვის გულიდან წამოსულის, თუ გულით გამოთქმული სიყვარულის მუსიკალური ხმიანობა და მაგიური სიტყვიერების ერთ-ერთი ჟანრის _''დალოცვის'' აღმნიშვნელი ''სალოცავ-სავედრებლების'' ორგანული ნაწილია. ჩვენი სასაუბრო წიგნის ავტორის ხომ ცოცხალი და იმიერში გადასული თავისი უახლოესი მეგობრების გულწრფელ დალოცვა-მოსაგონარ სადღეგრძელოებს არ წარმოთქვამს თუ აღავლენს?!

ვამბობ, რომ ნამდვილად კარგი და სასიამოვნო, ჯავარიანი ქართულით გამართულ-მოვარაყებულია ლექსით თუ პროზით. ასე რომ, ჩემი ''ნათლული'' წიგნი _ სადღეგრძელო უდავოდ პირწმინდად პასუხობს უდავოდ მრავალმხრივ ნიჭიერი, ჰუმანური და წიგნიერი ავტორის დასახულ კეთილშობილ მიზანს. უფრო სწორად, მიზნებს.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ მემუარული ჟანრის ლიტერატურის შექმნას (დაწერას) მარტო საპენსიო ასაკი არ ჰყოფნის-მეთქი, რამეთუ იგი მთელი განვლილი ცხოვრების მანძილზე იწერება თუ იქმნება კაცის გონება-არსებაში. ეს რომ ნამდვილად ასეა ამას ავტორიც ბრძანებს, წიგნში მოთხრობილი ცხოვრებისეული ამბები თუ ცალკეულ პირთა შესახებ ჩემი მოგონებები, ოთხმოცი წლის ასაკში შემორჩენილი მეხსიერების ნაყოფიაო.

წიგნში გამოყენებული ყველა პერსონაჟის და მათი ოჯახის წევრების ასევე, იმიერში გადასული რამდენი კარგი სამტრედიელი კაცის ქვრივი მეუღლე და მათი შვილები არ გაიზიარებენ ამ აზრს. ისინი ხომ ათეულობითა და ათეულობით ჩვენი ძმა და მეგობარი ქართველები არიან. ყველამ ვიცით, რომ ყოველი ახალი ადამიანის ამ ქვეყნად მოვლინება მეტრიკულ მონაცემებში ფიქსირდება. ასევე შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ახალი წიგნის მეტრიკაც მისი თავფურცლის გვერდით ივსება. ჰოდა, რომ იტყვიან შევსებაცაა და შევსებაც. ამ მხრივ, ბატონ ბორისის პირმშოს, ნამდვილად გაუმართლა და მისთვის ფეხბედნიერი გამოდგა იმიტომ, რომ ჩვენი ცოცხალი წმინდანის, _ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესი ილია მეორის ყავლგაუსვლელი მარადმწვანე შეგონებით არის გამშვენებული: ''პატივი მიაგეთ მშობლებს, შეისწავლეთ თქვენი ოჯახისა და გვარის ისტორია, გახსოვდეთ ღირსეული წინაპრები''. ამ უკვდავ თემას ეხება და ამიტომ გვერდს ვერ აუვლი ქართული ენათმეცნიერების კორიფეს, რომლის შვილობა გურულებს და იმერლებს დღემდე ვერ გაგვიყვია, სულგანათლებული აკაკი შანიძის 1918 წელს შექმნილ: ''ქართულ ეროვნულ ჰიმნს

''აბა, ფხიზლად ქართველებო,
მივყვეთ მამა-პაპათა კვალსა!
წარსულს გრძნობით ვიგონებდეთ,
ჩავუფიქრდეთ მომავალსა!''

ოდიდან ჭირისა და ლხინის მონაცვლეობამ ძვ. წელთაღრიცხვის შორეულ საუკუნეთა სიღრმეებს რომ არ გადავწვდეთ, ქრისტიანული ცხოვრების ოქრო ადათ-წესებისაკენ ჩვენი შემობრუნება თვით მაღალმა ღმერთმა ინება და თუ ბევრი რამ ისე არ გვაქვს, როგორც ჩვენ გვსურს და გვეკადრება, ჩვენს თავს მოვკითხოთ.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი, თუ პირველი არა, ეს არის ის, რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, უკანასკნელ ხანებში დასავლური სანახაობითი კულტურისა და ცხოვრების წესის მიძალებამ და ფართოდ რეკლამირებამ საფრთხე შეუქმნა ჯანსაღი ეროვნული ტრადიციების თაობიდან თაობაზე გადაცემის საშვილიშვილო საქმეს. მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ყველა, ნაკლებად არ იცნობს და ირონიულად არ უყურებს საოჯახო-ყოფით წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებს, სუფრის კულტურას, თამადობის ხელოვნებასა და სტუმარ-მასპინძლობის ოდიდან დადგენილ ნორმებს.

რაც შეეხება ზემოთ ნათქვამის ეროვნულ-პატრიოტულ და მორალურ მხარეს, ჯერ კიდევ როდის თქვა წარმართა ბერძენმა არისტოტელემ: ''ზნეობა _ ეს არის იცხოვრო შენი ხალხის წეს-ჩვეულებებით''.

შესანიშნავი ლექსებითა და მოკლე პროზით, შეიძლება ''ძუნწად'', მაგრამ ისეთი ''შტრიხ-კოდ-სასწორ-ადლით'' ტვიფრავს, წონის ღვაწლმოსილ და მისთვის ძვირფას მეგობართა პორტრეტებს ბატონი ბორისი, რომ მათი მხრიდან სულ ცოტა პრეზენტაციაც კი, ჩემი ფიქრით, ღმერთმანი, ცოტა უადგილოა. წიგნის ყველა პერსონაჟი ავტორმა, სიცოცხლეშივე ისტორიის ბინადრად აქცია.

მეტი რა ექნა, ახლა პატივცემულ ბატონს და ადრე პატივცემულ ამხანაგს, ბორის ვიქტორის ძე ფოცხვერაშვილს, მესიაა?! ის ხომ მთლად ჩვენნაირი, იანეთელი _ სამტრედიელია, ამ, მთლად ჩვენნაირმა სამტრედიელმა, რა ჩიტიც დააჭერინა და, თუ რას გამოჰკრა ხელი იმ ''საიდუმლოს გახსნით თუ გამხელით'' დავასრულებ თქვენ წინ მდებარე წერილს.

მოგეხსენებათ, რომ ჭეშმარიტების განსაზღვრა-დადგენის ერთადერთი უტყუარი კრიტერიუმი ცოცხალი პრაქტიკაა და აქიდან გამომდინარე მოგახსენებთ, რომ ჩვენი მთავარი გამჭრელი კოზირი ქართული სახელმწიფოებრიობის ერთობ სოლიდური ასაკი გახლავთ და კიდევ ის, რაც სულკურთხეულმა დიდმა მუხრანმა საგულისგულო ლექს-ანდერძად დაგვიტოვა შთამომავლობას:

''მე _ პატრონმა ამისთანა ცის,
თუ ღმერთი გწამს,
თუ კაცი ხარ _ სხვას მივბაძო?!
ვის?!''

ვამბობ, რომ ბატონი ბორია ნაფიცი მეისტორიეა, ამას, მისი პირმშო წიგნის სამასორმოცდაცამეტივე გვერდი ნათლად ადასტურებს და მაინც გამოვყოფთ რამდენიმე ქვეთავს: ''უმაღლესი განათლება'', ''კომკავშირი _ ახალგაზრდების აღზრდის სკოლა'' (მკითხველო, სიტყვა ''კომკავშირის'' ახალგაზრდობის აღზრდასთან კონტექსტში ხსენებამ წინასწარ არ შეგაკრთოს და გული არ გაგიკაწროს, ამიტომ მეხამრიდად ერთ რუსულ ანდაზას მოვიშველიებ: ''ნეტ ხუდა, ბეზ დობრა''. ეს რომ ასეა, ოთხგვერდიანი ქვეთავის ჩაკითხვის შემდეგ, მე მგონია, ყველა ობიექტური კაცი დამეთანხმება!), ''იურიდიული განათლება'', ''სიძნელეებთან ჭიდილში'', ''ჰობი'', ''ლოკომოტივი'', ''შვილმა მიაგნო მამის საფლავს''.

პირუთვნელად და სინდისის ქვეშ მოგახსენებთ, რომ ჩვენს ურთულეს ცხოვრებისეულ გამოწვევებს, მის ხანსრულ ამპლუაში კაცურად, ანუ მყარად მჯდომ ბატონ ბორისს, გრძელჟამიერ პერიოდში დაგროვილი თუ მოქუჩებული სიბრძნე-გამოცდილებით და მისი შესაფერისი დარბაისლური მსჯელობა-საუბრით, პრაქტიკულ ცხოვრებაში თავს გადამხდარი მდიდარი და საინტერესო ცხოვრებისეული ეპიზოდების ეფექტურად წარმოჩინება-მოწოდება, მართლაც რომ ყოველმხრივ დიდაქტიკურ მაგალითებად შეიძლება ჩავუთვალოთ.

ჩვენ ხომ სამტრედიელები ვართ და ამიტომ ამ წერილის ბოლო პასაჟი, წიგნის ერთი ქვეთავის ''ლოკომოტივი'' და მისგან სამი ვარსკვლავით გამოყოფილი აბზაცის ირგვლივ საუბრით დავასრულოთ (არადა, პირდაპირ რომ ვთქვათ, აბზაცი აშკარად ძველი ხუთ ვარსკვლავიანის მარკას იმსახურებს).

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გულწრფელად ვამბობ, რომ ბევრი ჭოჭმანის შემდეგ გადავწყვიტე და მოდით ერთად ჩავიკითხოთ, ეს ერთი ამოსუნთქვით დაწერილი აბზაცი.

მაშ ასე: ''სოჭში საბჭოთა კავშირის პროფკავშირის თასის მოპოვების შემდეგ გუნდის უფროსმა კარლო კალაძემ (როგორც ჩანს, ბატონ კალაძეს განგების ძალით აქვს ''მისჯილი'' სამტრედიის გუნდის უფროსობა და ღვთის შეწევნით აღებული თუ აკრეფილი კარგი სტარტი. სამტრედიელების ნანატრი ოცნების აღსრულებას კარგი პირი უჩანს და დიდი იმედიც გვაქვს, რომ მალე ვიხილავთ), 20-მდე კაცი საკმაოდ ცნობილ სასტუმრო ''ჟემჩუჟინას'' რესტორანში დაგვპატიჟა. არ ვიცი, გამარჯვების რა იმედი ჰქონდა, მაგრამ შეკვეთა თამაშის დაწყებამდე მიუცია და რესტორანში მაგიდაც გაწყობილი დაგვხვდა. ჩვენც, როგორც ქართველებს გვჩვევია, ზედმეტი ხმაურით რესტორნის უცხოელი სტუმრების ყურადღება იმთავითვე მივიქციეთ.

ისინიც ჩვენით განსაკუთრებით მაშინ დაინტერესდნენ, როცა მე, როგორც სუფრის თამადამ, ჩვენი გამარჯვების სიმბოლო, საკმაოდ მოზრდილი თასი სასმელის შესასმელად მოვითხოვე და შამპანურის ბოთლის საცობის მოხსნა დავიწყე. ვხედავ, რომ რამდენიმე უცხოელი ჩვენი მაგიდისკენ წამოვიდა. იმ იმედით, რომ თასს ბოლომდე შევავსებდი და შევსვამდი. ფოტოაპარატებიც წინასწარ მოიმარჯვეს. უცებ განვსაზღვრე, რომ ადვილი შესაძლებელი იყო, ჩემი სურათები სათანადო კომენტარებით მსოფლიო პრესის ფურცლებზეც კი მოხვედრილიყო. მცირეოდენი შამპანური ჩავასხი, მოპოვებული წარმატება დავლოცე და ზეალმართული თასის ძირს ვაკოცე. როცა სუფრის დანარჩენმა წევრებმაც მომბაძეს, ამაოდ დამაშვრალი უცხოელიც თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ''.

წაკითხვისთანავე მივაწერე: ჭკუის, მოხერხებულობის, სამტრედიელობის კლასიკური მაგალითი. ასე რომ, ზემოთ მოყვანილი აბზაცი, სულგანათლებული ნიკოლაი ოზეროვი რომ იტყოდა: ''ნიჩევო ნე სკაჟეშ'', ისაა ღმერთმანი. მაგრამ მე სხვა მინდა რომ ვთქვა. სოჭის სასტუმრო ''ჟემჩუჟინაში'' ფეხბურთის მატჩში გამარჯვებული სამტრედიელების მაშინდელმა თამადამ და ამჟამად წიგნის პატივცემულმა ავტორმა ფოტოაპარატებით შეიარაღებულ უცხოელებს, ყველას ერთად რომ მოუჯოკრა, ეს სულაც არ იყო შემთხვევითი და აი რატომ: ''ვაზი და ქართველი ადამიანი, ეს ორეული ისტორიული მოვლენაა, რომელიც შენიშვნის გარეშე, ძვ. წ. აღ-ის VI ათასწლეულიდან მაინც უნდა დავიწყოთ'' (ლ. ჭილაშვილი).

აუცილებლად ხაზგასასმელია ის უდავო ფაქტი, რომ მწერალი რომანისტი თავის არჩევანში თავისუფალია და მის მხატვრულ პერსონაჟს, ასე ვთქვათ, თავის გემოვნებით თუ გემოვნებაზე, მექოთნის არ იყოს, სადაც უნდა იქ გაამსხვილებს და ან დააწვრილებს.

ისტორიკოს-მემუარისტი ამ თვალსაზრისით მართლაც დაჩაგრულია. რამეთუ ის ნატურიდან ხატავს. მისი პერსონაჟი (ობიექტი) საზოგადოების მიკროსკოპის ქვეშ განიხილება. ამიტომ, მართლაც დიდი ხელოვნებაა, ზოგადად რომ ვთქვათ, ჩვენი ქრისტესმიერი ძმა, ქართველი კაცი, როდესაც ერთს ფიქრობს, მეორეს ამბობს და აქიდან გამომდინარე, რას მოიმოქმედებს და საით ''გადაუხვევს'' ერთმა მაღალმა ღმერთმა იცის მხოლოდ.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ცხონებული ნოდარ დუმბაძის დარიგება კარგად გაუთავისებია და მის პერსონაჟებს მართლაც ქანდაკებასავით უტრიალებს ირგვლივ, უკეთეს რაკურსში ხატავს და ისე წარმოგვიდგენს.

და კიდევ, ობიექტურობის დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, წიგნში წარმოსახულ თუ დახატულ-შეფერადებულ, პერსონაჟებზე ვინმე მავანსა და მავანს შეიძლება განსხვავებული აზრი და შეხედულება ჰქონდეს და ეს სრულიად ბუნებრივია. ნებისმიერი საზოგადოებრივი წყობის ''თვალი და ყური, კონტროლიორის'' წინაშე ადამიანები სხვადასხვანაირად იხსნებიან და ალბათ, ასევე დარჩება, თუ იქნება მეორედ მოსვლამდე...

პატივცემულო მკითხველო, ჩვენი მსჯელობა-საუბარი დასასრულს მიუახლოვდა და ზემოთ დადებული პირობისამებრ გავამხელ იმ ''საიდუმლოს'', რომელიც ჩვენი სამსჯელო წიგნის ავტორმა, თავის ადგილის დედის მრავალნაცადმა ერთგულმა კაცმა, დაწყებული ''საკულაშოთი'' და გაგრძელებული საბჭოური შავი ''ვოლგით'' რაიონული მასშტაბის სამსახურებრივი კარიერის წარმატებული გავლით, მოიპოვა ქართველი კაცისთვის ის უმაღლესი ჯილდო თუ თიკუნი, რომელსაც კოლორიტული ქართველის საამაყო სახელი ჰქვია. ორმაგად სასიამოვნოა ის, რომ ამ კუთხით ბატონი ბორია რაიონულ მასშტაბში ვერ ჩაეტია და მშობლიური იანეთი სამტრედიიდან ფეხგაუდგმელად რესპუბლიკის ღირსეულ ცნობილ ადამიანთა კოჰორტის ბინადარი გახდა.

დაბოლოს, ჭკუას კი არავის ვარიგებ, მაგრამ მაინც უნდა მოვიშველიო ერთი დიდი მოაზროვნის გამონათქვამი: ''ისტორია ვინმეს თავშესაქცევად არ იწერება, ისტორია ეს არის წარსული აწმყოსთვის''.

**ისიდორე (მამული) ჯანელიძე**
**ძველი სამტრედიელი**

---

ლი თავისი ახალგაზრდობა?

კაცი იყოს, თორემ, სადაც უნდა ისწავლოს, კაცად მაინც დარჩება და გრძნობა მაინც არ დაეკარგება, მარტო უსუსურები ხდებიან და ფუძნდებიან სხვისი გავლენის ქვეშ, და უსუსურს გინდა სიკვდილამდე ძიძად გაუხდე, გინდ ნიადაგ ჭკუას ასწავლიდე, ხეირის მოტანა მაინც თავის დღეში არ შეეძლება...''

ჩვენი, ყველა სამტრედიელის ვალია, ერთად ვიზრუნოთ სამტრედიის ღირსების, პრესტიჟის დასაბრუნებლად. აქტიურად ჩავებათ სამუშაო ადგილების მოაზრებისა და შექმნის საკითხებში. ბუნებრივია, ამ მხრივ უმთავრესია სახელმწიფოს ზრუნვა და სწრაფვა ქვეყნის კეთილდღეობისათვის, სახელმწიფოა მოვალე განსაზღვროს ქვეყანაში, ქალაქების, რაიონების პრიორიტეტები.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ძალზე საგულისხმოა ჩვენი თანაქალაქელების, ცნობადი სახეების: ბატონების: მ. ფრანგიშვილის, რ. შანიძის, რ. ხუჭუას, ა. გეგეშიძის, ი. ჯანელიძის წერილები, რომლებიც ჩვენ გაზეთში იბეჭდებოდა. ვიმედოვნებ ამ ადამიანთა ძალისხმევა არ აღმოჩნდება ცარიელში. რაოდენ დასანანია, მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, ახლა შექმნილმა საზოგადოება სამტრედიელმა'' საკითხი ყურს მიღმა გაატარა. დასანანია ისიც, რომ საკითხს არ გამოეხმაურა რკინიგზის მესვეურნი. საზოგადოება დეპოშია? დროა გამოვფიხზლდეთ.

ოდეს სამტრედიის თვალსაწიერს გადავხედავთ, გონებაში უნებლიედ წარმოჩნდება სამტრედიაზე თავდადებული ლეგენდარული პიროვნება ვალერიან (ვალიკო) კოპალეიშვილი, რომელმაც კომბინატის ბაზაზე რესპუბლიკაში პირველად 30 მეტრი კუბი წარმადობის მერქანბურბუშელოვან და ლამინირებული ფილების საწარმო დააარსა, ააშენა 40 ათასი მანეთის წარმადობის ახალი ტექნოლოგიით აღჭურვილი საავეჯო ფაბრიკა, მწყობრში ჩადგა ხის დამმუშავების საწარმოში პარკეტისა და ანათალი შპონის საამქრო. კომბინატი დარგის საწარმოთა შორის ფლაგმანი გახდა. აქ დასაქმდა 2500 კაცი, სარჩო-საბადებელი გაუჩინა ამდენივე ოჯახს, რაც ქალაქის მოსახლეობის 30% შეადგენდა. ააშენა 5 საცხოვრებელი სახლი, მათ შორის ერთი ცხრასართულიანი. ქალაქში გაიყვანა ტროლეიბუსის ხაზი. მაშინდელი რესპუბლიკის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება კომბინატის განვითარების თაობაზე განაპირობა სამტრედიაში სარკინიგზო კვანძის არსებობამ.

დღეს სამტრედია და სამტრედიელები არჩევანის გზაზე ვდგევართ რას უქადის სამტრედიელებს მომავალი?

მინდა, ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან მივმართო მაჟორიტარ დეპუტატს, გიორგი კახიანს, ვიცე-პრემიერს კახი კალაძეს, საკრებულოს თავმჯდომარეს ნუგზარ ჯამბურიას, გთხოვთ გამოხატოთ თქვენი მოსაზრება, სამტრედიის მომავალზე.

სამტრედია მასზე მინიჭებულ ისტორიულ მისიას შეინარჩუნებს?!

და ბოლოს წერილის დასასრულს თანაქალაქებს გულითადად ვულოცავ შობა-ახალ წელს, ახალი 2015 წელი იყოს სამტრედიის განახლების ათვლის წერტილი.

სამტრედიელებო, იმედების ასრულება დაგვბედებოდეს!

**გია ბოჭორიშვილი**
**სამტრედიის მკვიდრი**

# სამშობლოს მაჯისცემას მიყურადებული

***წიგნისა და მკითხველის გაუცხოების "მძიმე სენმა" XXI საუკუნეში ყველაზე მძაფრად იჩინა თავი. ახალგაზრდობა (და არა მარტო) მოწყდა იმ საუნჯეს, რითაც მრავალი წლის მანძილზე საზრდოობდა ადამიანის სულიერი სამყარო და მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა. ზემოთხსენებული მხოლოდ ერთეულ ავტორებს, ნაწარმოებებს არ შეხებია. ასეთ გამონაკლისთა შორისაა ლევან სანიკიძე საკუთარი ბიბლიოგრაფიული ნიმუშებით, რომელთა გვირგვინი მრავალრიცხოვანი მკითხველის, ლიტერატურათმცოდნეების, კრიტიკოსების შეფასებით "უქარქაშო ხმლებია".***

სტუდენტებისთვის საოცრად უშუალო ლექტორი, ხოლო პროფესორ-მასწავლებლებისთვის დასაყრდენი მეგობარი, ენციკლოპედიური განათლების მქონე პროფესიონალი _ ასეთი იყო ლევან სანიკიძე.

იყო და თანამედროვეთა მახსოვრობაში დღემდე ასეთად რჩება.

ამბროლაურის რაიონში დაიბადა შემდეგში ყველასთვის ცნობილი ისტორიკოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე. უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებით დასრულების შემდეგ, იგი მალევე შეუდგა სპეციალობის მიხედვით ლექციების კითხვას. ბატონმა ლევანმა ღირსეულად აღზარდა არაერთი თაობა. მისი, როგორც პედაგოგის უმთავრესი მოწოდება მომავალი თაობისთვის მშობელი ქვეყნის სიყვარულის გაღვივება და განმტკიცება გახლდათ. სწორედ ამ ღირებულებების მატარებლებად იზრდებოდნენ სანიკიძის ნასტუდენტარები, ამაყობდნენ თავიანთი ლექტორით და ტკბილ მოგონებებად ესახებოდათ სტუდენტობის წლები.



"ის იყო გასაოცარი მთხრობელი, სტუდენტურ აუდიტორიაში იგი მიმზიდველი მჭერმეტყველებით გადასცემდა მსმენელებს თავის უზარმაზარ ცოდნას. მეგობართა წრეში და სუფრასთან კი, სადაც იგი უმრავლეს შემთხვევაში შეუცვლელად თამადობდა, მისი ნაამბობი სავსე იყო იმპროვიზაციით, იმიტაციითა და მახვილსიტყვაობით. დაუვიწყარია მისი ორატორული ტალანტის ფოეიერვერკები. ის იყო დიდი მამულიშვილი, თავის ქვეყანაზე სიგიჟემდე შეყვარებული რაინდი და მისთვის დაფერფლილი ფენიქსი" _ წერდნენ მასზე.

პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ლევან სანიკიძემ მწერლობაშიც მოსინჯა უნარი. მისი მოღვაწეობის სფერო ძველი მსოფლიოსა და საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიას განეკუთვნებოდა.

ძველი სამყაროს ისტორიის უბადლო მცოდნემ, მშობლიური ქვეყნის ავ-კარგის შესანიშნავმა შემფასებელმა, მნიშვნელოვნად გაამდიდრა საქართველოს მეცნიერული მემკვიდრეობა. მის ნაკალმარში: "ამბავი კოლხი ასულისა", "დედა ისტორია", "სამას-სამასი", "საყვედრებელი გიორგი ათონელისა", "გიორგი სააკაძე", "დავითიან-თამარიანი", "მესამე დასის საქართველო", "777 ქართული სიძველე", "სად წაიყვან სადაურსა" _ მაღალ საფეხურზეა წარმოდგენილი ისტორიული რეალობის პათოსი და ღრმა პატრიოტული სულისკვეთება იგრძნობა.

ლევან სანიკიძე მთელი სიცოცხლის მანძილზე გულწრფელად ემსახურებოდა დედასამშობლოს, იყო მოვლენათა შუაგულში, ქადაგებდა კაცთმოყვარეობას, ურთიერთგატანას, სათნოებას, ეროვნული ცნობიერებისა და წინაპართა ერთგულებას. თავად ყოველგვარ გაგულისებასა და წვრილმან გრძნობებს მოკლებული, უხვად აფრქვევდა სიყვარულს, მოუწოდებდა მოყვასის ერთგულებას, ადამიანურობას, ხოლო უბოროტო, მაგრამ მძაფრი იუმორი კიდევ უფრო ამრავალფეროვნებდა მის ტალანტს, აიოლებდა სხავთა გულებისაკენ მიმავალ გზას.

წლებია აღარ არის ლევან სანიკიძე, თითქოს ველარ გვასხივოსნებს თავისი არსებობით, მაგრამ თუკი ერთხელ მაინც გადავშლით ქართული პროზის საგანძურს "უქარქაშო ხმლებს" ან "წიგნი მოწამეთას", სიამაყით აღვსილნი უმალვე შევიგრძნობთ ავტორისეულ ნიჭის მარადიულობას.

26 იანვარს გამოჩენილ ქართველ მწერალს, ისტორიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ბატონ ლევან სანიკიძეს 90 წელი შეუსრულდებოდა.

**შოთა კაკაბა**

# არჩილ ჩხარტიშვილის საიუბილეოდ

## „სპექტაკლი – ზეიმი, სპექტაკლი – დღესასწაული"

***რეჟისორის შემოქმედებითი ბუნება, ადამიანის სულში წვდომის უნარი ისე კარგად არსად მჟღავნდება, როგორც მსახიობთან მუშაობის დროს. გიორგი ტოვსტონოგოვის თქმით, "მას უნდა შეეძლოს არტისტის ადამიანური ბუნების ამეტყველება ისე, რომ მსახიობთან ერთად იპოვოს გამოძახილი მაყურებლის სულში".***

***სანდრო ახმეტელის სპექტაკლების რიტმულობითა და კოტე მარჯანიშვილის წარმოდგენების მხატვრული ფორმების შთაბეჭდილებით, გარდაიქმნა, გამოიწრთო არჩილ ჩხარტიშვილი, როგორც არნახული დონის მქონე, პროფესიულად დახვეწილი რეჟისორი.***

***რიგი მიზეზების გამო ფართო მასებისთვის მივიწყებული, ხოლო ქართული თეატრის ისტორიითა და ქარცეცხლით დაინტერესებულთათვის ბევრის მთქმელია მისი სახელი.***

***გადავწყვიტეთ, წინამდებარე წერილში მოკლედ მიმოვიხილოთ ჭეშმარიტი ხელოვანის შემოქმედებითი ცხოვრების საეტაპო წლები, ხელოვანისა, რომლის პიროვნებას ჩეჩნეთ-ინგუშეთის, დაღესტნის ხალხთა თეატრების აღორძინებიდან დაწყებული, ქუთაისის, ბათუმის, თბილისის სხვადასხვა თეატრში მთავარი რეჟისორისა და დირექტორის თანამდებობაზე გატარებული ათეულობით წელი უკავშირდება.***

30-იან, 40-იან წლებში, მაშინ როცა საბჭოთა იდეოლოგია ბედისწერაზე აგებულ დადგმებს ფაქტობრივად აღარ სცნობდა და აღმზრდელობითი მოტივი სპექტაკლის უმთავრეს არსს წარმოადგენდა, გონებაშიც კი არავინ გაივლებდა ბერძნული ეპოსის ანტიკური სამყაროს ქალთა პორტრეტების ქართულ თეატრში გაცოცხლებას. არჩილ ჩხარტიშვილმა, რომელიც წლების განმავლობაში ატარებდა ევრიპიდეს "მედეას" დადგმის სურვილს, აღნიშნული სპექტაკლით რეფორმატორულად მიუდგა ამ საკითხს და ყოველგვარი ჩარჩოები დაამსხვრია კოლხი ასულის ტრაგედიის სცენაზე გადმოტანით.



მაგრამ მანამდე, ვიდრე ეს იქნებოდა, იყო გაუთავებელი მცდელობა, რომ "მედეას" სახე ქართულ საზოგადოებაში კვლავ წინა პლანზე წამოწეულიყო, ოღონდ ძირეული ცვლილებებითა და ტრაგიზმის გაფერმკრთალებით. ანუ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველმა საზოგადო მოღვაწეებმა, აბსოლუტურად შეცვალეს მითი არგონავტების შესახებ, სადაც მედეა არათუ შვილს, არამედ საკუთარ ძმას კლავდა და მისი ერთადერთი დანაშაული სამშობლოს დატოვებაში მდგომარეობდა.

1960-იან წლებში, როცა ევრიპიდესეული "მედეას" განხორციელებისათვის ყველაზე ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა, კრიტიკოსებმა, მწერლებმა და ლიტერატურის სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს არჩილ ჩხარტიშვილის სარისკო წამოწყებას და მარჯანიშვილის თეატრის ფოიეში განცხადების დაფაზე, როლების განაწილების ფურცელიც გამოჩნდა.

ვის მოიაზრებდა რეჟისორი სანუკვარი ჩანაფიქრის განხორციელების მთავარ მოქმედ გმირად, თუ არა დიდ ვერიკო ანჯაფარიძეს?! როგორც ცნობილია, მსახიობი აღტაცებული იყო ევრიპიდეს ანტიკური ტრაგედიით, მისი გმირების სიბრძნითა და სულიერი დიდებულებით, თუმცა იგი უარს აცხადებდა "მედეას" განსახიერებაზე, რადგან გმირი ქალის ცხოვრების ხაზი შვილების დახოცვაზე გადიოდა, მას კი ამის გაფიქრებაც ზარავდა.

რეჟისორის სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ მან ანჯაფარიძის კინოგადაღებებზე ყოფნისას, ვერიკოს გარეშე დაიწყო პიესაზე მუშაობა. თეატრში, ოპერატიულ რეჟიმში მზადდებოდა დეკორაციები და მონაწილეთა კოსტიუმები, რეპეტიციებისას მედეას როლის რეპლიკებს, მსახიობებს პირადად ჩხარტიშვილი აწვდიდა.



ვერიკო ანჯაფარიძე "მედეას" როლში

თეატრმცოდნე ნათელა ურუშაძის წიგნში ვკითხულობთ: "ვერიკო დაბრუნდა თბილისში, მაგრამ მედეას განსახიერება მაინც იუარა, ამჯერად უკვე ასაკის მიზეზით. მიუხედავად ამისა, მაინც მოხერხდა მისი დათანხმება, თუმცა პირობით _ გენერალურ რეპეტიციაზე უნდა გარკვეულიყო _ ეყოფოდა თუ არა მას ფიზიკური ძალა იმისთვის, რომ მედეას ცხოვრება სცენაზე გადაეტანა".

სკეპტიკოსთა წინასწარმეტყველება არ გამართლდა, სპექტაკლის პრემიერა 1962 წელს შედგა, როდესაც ვერიკო ანჯაფარიძის შემოქმედება მეხუთე ათეულს ითვლიდა.

არჩილ ჩხარტიშვილის ნამუშევარს ფეერიული წარმატება ხვდა წილად. კრიტიკოსმა, ბესარიონ ჟღენტმა, რომელიც 1957 წელს, ჩხარტიშვილს სასტიკად ჰკიცხავდა, ვაჟა-ფშაველას "მოკვეთილის" ახალ დადგმაში, მასობრივი სცენების მთავარი გმირების სუსტი აქტიორული შესრულების, პიესაში ხალხური ლექსების, შაირებისა და ვაჟას პოემებიდან ამოღებული სტროფების ჩანართების გამო, შემდეგი სიტყვებით შეამკო ევრიპიდეს თანამედროვე ენით წაკითხვა, სპექტაკლში ფორმისა და შინაარსის სრული ჰარმონია: "ეს მართლაც დიდებული მხატვრული ქმნილებაა, ნამდვილად მარჯანიშვილისებური სპექტაკლი, აღსავსე ფერადოვნებით, მუსიკით, პოეზიით, სპექტაკლი-ზეიმი, სპექტაკლი-დღესასწაული".

"მედეას" მრავალი ახალი დადგმა მოჰყვა, მაგრამ იგი მუდამ შარავანდედად ადგა ყველა დანარჩენს, თავისი გრძნობის სიღრმით, აზრის სიცხადითა და რეჟისორული სრულყოფილებით.

19 იანვარს, 105 წელი სრულდება საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, ღვაწლმოსილი რეჟისორის, არჩილ ჩხარტიშვილის დაბადებიდან.

**შოთა კაკაბა**

# "კუკუშკა" შინ ხომ მოაქროლებდათ



"იმედმა" საახალწლო ზღაპარი კულტურის ცენტრის სცენაზე მოჰყვა. მისი მთავარი გმირები და პერსონაჟები თავად "იმედელები" იყვნენ. სცენაზე ანსამბლის მე-7 თაობა იდგა. ლეგენდარული ხელმძღვანელის, თამაზ დუნდუას საყვარელი მოსწავლის, ანა აბზიანიძის მიერ აღდგენილი ანსამბლი "იმედი" ძველ ხიბლს არ ჰკარგავს. წარმატებები კი მისი ხელმძღვანელის მონდომებას მოაქვს, თავად ანა აბზიანიძის და მისი აღსაზრდელების ვოკალური შესაძლებლობების წყალობით.

რაც შეეხება საახალწლო კონცერტს, როგორც ანა აბზიანიძე ამბობს _ "ხუთი წელია საახალწლო კონცერტი არ გამიკეთებია, ყოველთვის წლის ბოლო, შემაჯამებელ საღამოს ვაკეთებდი. ამჯერად "ტრადიციას" ვუღალატეთ და ეს სანახაობა სიახლეც გამოგვივიდა". თუმცა, არა მარტო ამიტომ, საახალწლო კონცერტი სიახლე თავისი შინაარსითაც გახლდათ. განსაკუთრებული დიზაინით მორთულ სცენას დიდ მონიტორზე ნაჩვენები კლიპები ალამაზებდა. ყველა გამომსვლელს, სიმღერის შესრულებისას, ამავე სიმღერაზე გადაღებული კლიპი ულამაზებდა ნამღერს. მათი უმრავლესობა ბაკურიანში გადაიღეს, სადაც მთელი ანსამბლი ერთად გახლდათ წასული. "სიმღერა და თოვლში გრიალი" ნამდვილად არ აკლდათ და როცა "კუკუშკა" შინ მიაქროლებდათ, ანა აბზიანიძეს კონცერტის ამგვარად ჩატარების იდეაც მაშინ ებადებოდა. კლიპების ავტორიც თავად გახლდათ და რეჟისორიც. "კარგი იყო დამხმარე მყოლოდა ვინმე. მაშინ პატარებს კიდევ უფრო დახვეწილი ვოკალი ექნებოდათ. თუმცა, დასაწყისისთვის ცუდი არ იყო, შეკრული და ლამაზი კონცერტი გამოგვივიდა". _ ასე თავად აფასებს საკუთარ ნამუშევარს. საქმის უკეთ მცოდნეები კი ასეთი სიტყვაძუნწები არ გახლდნენ და პატარა იმედელებს უფრო ხმამაღლა აქებდნენ, ხელმძღვანელის დამსახურებაზე კი კარგა ხანია ბევრს საუბრობენ სამტრედიაში. საუბრობენ იქედან მოყოლებული, როცა ის, პატარა იმედელებივით პატარა იმედელი იყო.

ჯერ ისევ ახლად დამდგარი ახალი წლიდან კიდევ უფრო მეტი წარმატება უნდათ დაიბედონ. კიდევ ერთი ჩანაფიქრი მალე უნდა განხორციელდეს, დანარჩენს დრო გვიჩვენებს. ერთი ცხადია "იმედს" უფლება არ აქვს და უპირველესად თავად არ მისცემს ანსამბლი საკუთარ თავს უფლებას, რომ სამტრედიის იმედი არ იყოს!

**თეა ბაბუნაშვილი**

ნათია ნაცვლიშვილი

# "რომ არა შენი ჰანგები"

ხელოვანთა დარბაზში დეკემბრის სუსხიან დღეს მხოლოდ მუსიკის თბილი ჰანგები თუ შეიტყუებდა მსმენელს, № 2 სამუსიკო სკოლის საახალწლო კონცერტს კი სიცივის მიუხედავად მაყურებელი არ დაჰკლებია. ეს სკოლა ყოველთვის საუკეთესო კონცერტებს აწყობს, ამჯერადაც არ უღალატეს ტრადიციას სკოლის პედაგოგებმა, მოსწავლეებმა და ნამდვილად აღგვიმაღლეს სადღესასწაულო განწყობა.

"ვუმღეროთ სიცოცხლეს" ასე ერქვა 2015 წლისადმი მიძღვნილ კონცერტს. ღონისძიება გოგონათა ვოკალურმა ჯგუფმა "კრეშჩენდომ" გახსნა სიმღერით "ვუმღეროთ სიცოცხლეს". ამ ჯგუფს ჩვენს მუნიციპალიტეტში კარგად ცნობილი და ყველასთვის საყვარელი მუსიკოსი, მარინა ახობაძე ხელმძღვანელობს. საღამო ჩვენს უმცროს კოლეგას, მხატვარ-კარიკატურისტს, შოთა პაპავას მიჰყავდა.

შესრულდა როგორც უცხოელ, ისე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ჯუზეპე ვერდის, მერაბიშვილის, ლომდარიძის, ყანჩელის, ოსტროვსკის, ბრიუგმიულერის, შუბერტის, ჯოპლინის, სულხან ცინცაძის, ბიძინა კვერნაძის ნაწარმოებები შესანიშნავად შეასრულეს სკოლის მოსწავლეებმა: ამირან სულაბერიძემ, მარიამ ნიკურაძემ, ანი კორძაძემ, ლუკა ქორიძემ (პედაგოგი ცირა კიკაჩეიშვილი), ლიკა შენგელიამ, ლუკა ნიქაბაძემ, მარიამ ტონიამ და ირაკლი კერელეიშვილმა.





ქართულ მუსიკას განსაკუთრებული ადგილი მიენიჭა იმ დღისათვის ძალიან კარგად შერჩეულ რეპერტუარში. მეორეკლასელმა თეიმურაზ ფახურიძემ წარმოგვიდგინა კლასიკად ქცეული სიმღერა ვახტანგ ტაბლიაშვილის გენიალური მიუზიკლიდან "ქეთო და კოტე" (ფორტეპიანოსთან პედაგოგი მარინა ახობაძე).

"აჭარული" მეოთხეკლასელმა მათე შენგელიამ შეასრულა, სულხან ცინცაძის "ბაში-აჩუკის სიმღერა" კი _ ამირან სულაბერიძემ.

შესანიშნავი იყო მოსწავლეთა ფოლკლრული ჯგუფის წევრთა მიერ შესრულებული "ლალე" და "სისა ტურა" ხელმძღვანელი ლელა გოლიაძე.

№ 2 სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულებმა ხათუნა ჩაჩუამ და თინათინ გაგუამ უცხოელ კომპოზიტორთა ნაწარმოები შეასრულეს და სხვა შემსრულებელთა მსგავსად აპლოდისმენტები მათაც მრავლად დაიმსახურეს.

წამყვანმა მარინა ახობაძის მიერ დაწერილი ლექსი წაიკითხა.

"რომ არა შენი ჰანგები,
მე სადმე დავიკარგები.
რომ არა ტკბილი სიმღერა,
ვინ ვიქნებოდი, ანდა რა?!
რომ არა განცდა დიადი,
მომკლავდა დარდი ტიალი.
შენი ჰანგების ეშხის ხომ
ბევრი გამხდარა ტრფიალი".

ამ ლექსსაც, რომლის ნაწყვეტი შემოგთავაზეთ, ისეთივე მოწონება ხვდა წილად, როგორც №2 სამუსიკო სკოლის დირექტორ ნანა ქანთარიას და მარინა ახობაძის მიერ შესრულებულ საფორტეპიანო დუეტს. ამ ნაწარმოებს სახელად "ნოსტალგია" უწოდა კომპოზიტორმა მარინა ახობაძემ და მისი შექმნა ავტორს "ნახალოვკის" უბანში მცხოვრები სამტრედიელი ინტელიგენტების ხსოვნამ შთააგონა. ქალბატონმა მარინამ



აუდიტორიის წინაშე ისაუბრა "ნახალოვკის" უბანში მდებარე № 2 სამუსიკო სკოლაზე, გაიხსენა ია კუჭუხიძისა და ოთარ შანიძის მიერ ამ სკოლის დაარსების ისტორია, ქალბატონ იას მან ბუმბერაზი პედაგოგი, ოთარ შანიძეს კი, სამტრედიის ენციკლოპედია უწოდა. მისივე თქმით საუკეთესო ტრადიციები არ მოშლილა სკოლაში, გრძელდება დღესაც, რადგან ჰყავს შესანიშნავი დირექტორი ნანა ქანთარია და ბრწყინვალე პედაგოგები. სწორედ ეს ფაქტორი აპირობებს ამ სკოლის მოსწავლეთა წარმატებებს.

სკოლის სავიზიტო ბარათად მარინა ახობაძემ ვაჟა დურგლიშვილის "მუხამბაზი" გამოაცხადა, რომელიც მისივე თქმით, მოიტაცა და ჩამოიტანა სამტრედიაში. მუსიკალური სკოლის პედაგოგებმა ლელა ბოხუამ, ლელა ჯოგლიძემ, ნანა ქანთარიამ, (აკომპანიატორი მარინა ახობაძე) იმ დღესაც შესანიშნავად შეასრულეს ეს სიმღერა და დარბაზში მსხდომნი დადებითი ემოციებით დამუხტეს. საახალწლო განწყობა კი ნუგზარ ერგემლიძის სიმღერით "თოვლი მოდის" შეგვიქმნეს. საფინალო აკორდად ჯგუფ "კრეშჩენდოს" მიერ შესრულებული "ახალი წელი მოსულა" იქცა.

ასეთი თბილი, ემოციური, გულში ჩამწვდომი ჰანგების მოსმენის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგებელმა აღნიშნა, რომ ეს იყო საუკეთესო კონცერტი და დიდი პატივისცემა გამოხატა თითოეული მოსწავლის და პედაგოგის მიმართ, რომელთაც ასე გაგვითბეს თავისი შემოქმედებით იმდღევანდელი საღამო.

"ეს იყო ძალიან აკადემიური კონცერტი, დიდი ესთეტიური სიამოვნება მივიღე, კლასიკა არის საუკეთესო საკომუნიკაციო ენა, მუსიკა ყველა ეროვნების ადამიანებს აერთიანებს, მადლობა ამ სკოლის პედაგოგებს, მოსწავლეებს და მათ მშობლებს, ბედნიერები ვართ, ასეთი თაობები რომ გვეზრდება, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა თქვენს გვერდით გვიგულეთ, კომპოზიცია "ნოსტალგია" არაჩვეულებრივი იყო, გამახსენა ყველა ის ხელოვანი ადამიანი, რომელიც გაზარდა "ნახალოვკამ", მადლობა ყველაფრისათვის". _ მიმართა პუბლიკას მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, ლიზა კრავეიშვილმა.

# "მრავალ ახალ წელს!"

"მრავალ ახალ წელს!" ასე ერქვა ღონისძიებას, რომელიც წინასაახალწლოდ № 2 საქალაქო ბიბლიოთეკაში ჩატარდა.

ღონისძიება გახსნა ბიბლიოთეკის გამგემ ნანა გოგიშვილმა.

ახალ წელზე, საქართველოზე, პატრიარქზე ლექსები წაიკითხეს, იმღერეს, იცეკვეს ქალაქის № 4 და რკინიგზის № 75 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა, ქალაქის № 1, 3, 10, 11, 12 საჯარო სკოლებისა და წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეებმა.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე მზია ჩიხლაძე, ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები: ნათელა მელქაძე, ინგა გაბუნია, ნესტან გელეიშვილი, პედაგოგი ნანი კვესელავა, რომლის სიტყვამ დიდი მოწონება დაიმსახურა. მან ისაუბრა წიგნისა და ბიბლიოთეკის მნიშვნელობაზე თანამედროვე ცხოვრებაში.

"ჩვენ კომპიუტერის საუკუნეში ვცხოვრობთ, მაგრამ იგი წიგნს ვერ შეცვლის, დანტე ალიგიერი ამბობდა: "წიგნი ცოცხალი მეგობარია, მოსაუბრე და მრჩეველი შენი" ეგვიპტეში ტაძრის კედელზე ასეთი წარწერაა: "მშობლებზე მეტად გიყვარდეთ წიგნი!"

საფრანგეთში მოგზაურობისას სულხან-საბამ უზარმაზარი წიგნების სახლი (ბიბლიოთეკა) დაათვალიერა და გული დასწყდა, ქართული წიგნი ვერ იპოვა. ვინც წიგნს არ კითხულობს, იმას ჩვენში უწიგნურს უწოდებენ.

ჩვენი წიგნების სახლი გამარჯვების ქუჩაზეა, თანამშრომლები რუდუნებით ეპყრობიან ყველა წიგნს. ვულოცავ ახალ წელს ზეიმის მონაწილე ბავშვებს, ბიბლიოთეკის გამგეს ნანას, ნინოს, მარინას და იმ ადამიანებს ვინც მონაწილოება მიიღო ბიბლიოთეკის გალამაზებაში.

დაე, ეს წელი ყოფილიყოს წიგნების, მკითხველის მატების წელი, ეკონომიურად სიძლიერის, მშვიდობის, ძმობის წელი, დაგლოცავთ ყველას, გფარავდეთ ღმერთი!" დალოცა ქალბატონმა ნანამ ზეიმის მონაწილენი. ღონისძიების მონაწილეები კმაყოფილები დარჩნენ.

ნანა გოგიშვილი
№ 1 საქალაქო ბიბლიოთეკის გამგე

# მოწყენილი სახეები აღარ იქნება

ის, რაც მე-10 ბაგა-ბაღის მუსიკის დარბაზში მოხდა, მნახველს დიდხანს გაყვება მხიარულ და პოზიტიურ შთაბეჭდილებად. სამტრედიაში არის ის, რაც მთელს საქართველოში არსად მოიძებნება. სამტრედიაში კი ერთადერთია და ისიც, აქ, ამ საბავშვო ბაღში. ეს გახლავთ ჯგუფი, სადაც 1-2 წლის ბავშვები არიან თავმოყრილი. ოციდან ხუთი ფეხს და ენას ახლა იდგამს. ჰოდა, ეს პატარები, სულ პატარები, ჯერ კიდევ გაუტეხელი სიტყვებით, აღფრთოვანებისაგან გაფართოვებული თვალებით, გაუთვითცნობიერებელი მოულოდნელობის ცრემლებით საახალწლო ნაძვის ხესთან სადღესასწაულოდ მორთულები ელოდნენ თოვლის ბაბუს. მათ შემხედვარეს, მოწ-





ყენილი სახეები უპირველესად სტუმრად მოსულ უფროსებს არ ჰქონდათ, მათი პედაგოგის, ცუგუნი გოგიშვილი-კორძაიას შრომას რომ ისიგრძეგანებდნენ.

მერე უფროს, 5-6 წლიან ჯგუფს დაეთმო არენა. მათ კი პედაგოგების, მარიამ დვალიშვილისა და ია შანიძის მონდომებით ასაკის შესატყვისად დახვეწილი სანახაობა უჩვენეს სტუმრებს. საყვარელი ზღაპრის გმირების სამოსელი მოირგეს და ფერიებმა ის ამბავი გვამცნეს, იმ დარბაზში ნაძვის ხის ირგვლივ რომ უნდა დატრიალებულიყო. ჰოდა, ასე ცეკვა-სიმღერით მოიპატიჟეს წითელქუდა, პეპი, კარლსონი, კომბლე, ფიფქია და მისი მეგობარი ჯუჯები, ნაცარქექია, წუნა და წუწუნა, მაშა და დათვი. ბურატინო? ბურატინოც რა თქმა უნდა, მათთან იყო. ყველა ისინი, მუსიკის პედაგოგმა, ლელა ბოხუამ აამღერა. ლექსი, ცეკვა და სიმღერა საახალწლო განწყობას არა მარტო ამ პატარებს, უფროსებსაც ულამაზებდა. არადა, იმ საახალწლო ზეიმზე, ბაღის შენობის მიღმა რეალობისგან განსხვავებით ყველაფერი მხოლოდ კეთილი იყო და ყველა ბედნიერი. ეზოში ფიფქი არ ცვიოდა, მაგრამ შოკოლადი და ტკბილეული უხვად მოიტანა თოვლის ბაბუამ საჩუქრად. შობის დღესასწაულის მოახლოვება ბავშვური გულწრფელობით მიულოცეს აქაურმა პატარებმა სამშობლოს და "ალილოც" უმღერეს.

ბაგა-ბაღის მმართველი ქეთევან შაშიაშვილი მადლობებს იღებდა და გასცემდა. ეს როგორ და, ამ ღონისძიებიდან გამომდინარე, პედაგოგების და საკუთრივ მის პროფესიონალიზმს საპატიოდ მოწვეული სტუმრები აქებდნენ, ის კი თავის მხრივ თავის კოლექტივს ემადლიერებოდა მონდომებისთვის. თუმცა, საბავშვო დაწესებულებებში ვერც ერთი დღე მონდომებისა და პროფესიონალიზმის გარეშე ვერ ჩაივლის.

"მოწყენილი სახეები დღეს არ იქნება" _ ისმოდა ბავშვური ხმები დარბაზში. ირგვლივ მხოლოდ იმედი და სიკეთე ტრიალებდა და ასეც დაიბედეს ახალი წლის მობრძანება _ მხიარულად, კეთილად და ბედნიერად.

თეა ბაბუნაშვილი

# პატარები ზღაპრული სამყაროს პერსონაჟებად იქცნენ

ნათია ნაცვლიშვილი







"გამგებლის ნაძვის ხე" _ ასეთი სახელწოდებით სახალისო და მხიარული კარნავალი ძველით ახალ წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში მოეწყო. ღონისძიების ორგანიზატორი მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური იყო.

"საახალწლო ზეიმზე მოვიწვიეთ მრავალშვილიანი ოჯახების შვილები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები დღის ცენტრიდან "ლამპარი". გვსურდა, ამ ბავშვების ინტეგრაცია და ჩართულობა მომხდარიყო, მოვიწვიეთ საახალწლო პროგრამით ქუთაისის სადღესასწაულო ცენტრის "კუბიკ-რუბიკი" მსახიობები, გაიმართება მოგზაურობა ზღაპარში. ქალბატონი ხათუნა ახობაძე, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელი ღონისძიების ბოლოს ბავშვებს ტკბილეულით გაუმასპინძლდება". _ გვითხრა კარნავალის დაწყებამდე კულტურის სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ.

ქუთაისელმა მსახიობებმა მართლაც ლამაზი დღე აჩუქეს სამტრედიელ პატარებს, რიგრიგობით შემოდიოდნენ დარბაზში პატარების საყვარელი ზღაპრების გმირები: თვირლი, ტომი და ჯერი, მაშა და დათვი, კონკია და პრინცი ამ გმირებთან ერთად ცდილობდნენ პატარების გამხიარულებას. ამ საერთო მხიარულებაში ჩაება წამყვანმა თითქმის ყველა დამსწრე. პატარებმა შეჯიბრი მოაწყვეს სხვადასხვა თამაშში, ბაგირის გადაწევაში მათ საკრებულოს საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტი ნათია იობაძე და ტელეკომპანია "ზარის" ჟურნალისტი შორენა ნიკოლეიშვილი დაეხმარნენ. მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი თინა ხარძიანი დამარცხებულ ბავშვებს გამოექომაგა, თავად აღმოჩნდა ბაგირის გადამძალველის როლში და გუნდს გამარჯვება მოუპოვა. ღონისძიების წამყვანმა საცეკვაოდ მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერიაც გამოიწვია და კულტურის სამსახურის უფროსი ნატალია მანჯგალაძეც. სიამოვნებით იცეკვა პატარებთან გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილმაც, რომლის შვილიშვილიც საოცრად აქტიური მონაწილე გახდა ღონისძიების. შესანიშნავი ცეკვითა და მელექსეობით დაამახსოვრა თავი აუდიტორიას. ზღაპრის გმირებთან ასევე იცეკვეს და იმღერეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორმა ტატა გოგუაძემ და კულტურის სამსახურის წარმომადგენელმა ნათია გოგოძემ.

ჩვენთან საუბარში კმაყოფილება გამოთქვეს მრავალშვილიანმა დედებმა № 11 საჯარო სკოლის მათემატიკის პედაგოგმა ნონა ანდღულაძემ და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, კობა ძიძიგურის მეუღლემ, თეა ტუღუშმა. ღონისძიების ორგანიზატორებს მათ დიდი მადლობა გადაუხადეს. განსაკუთრებული მადლობა მოახსენა კარნავალის ორგანიზატორებს და ყველა მონაწილეს დღის ცენტრის "ლამპარის" პედაგოგ-ასისტენტმა შუქია თვალაბეიშვილმა. თავიანთი ცეკვითა და სიმღერით დღის ცენტრის აღსაზრდელებმა მართლაც გაამხიარულეს დარბაზი. ლამაზი, ტკბილი, ბედნიერი წლის დადგომა უსურვა სანტამ ყველა პატარას, ხურჯინიდან ნუგბარი ამოალაგა, ყველა მათგანი დაასაჩუქრა, კიდევ ერთხელ დალოცა და მომავალ ახალ წლამდე დაემშვიდობა.

_ დღეს საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი დღეა, შობის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ ახალი წლის დადგომას ვზეიმობთ, ახალ წელს გილოცავთ დამსწრე საზოგადოებას, განსაკუთრებით კი ბავშვებს. ეს არის გამგებლის ნაძვის ხე, პატარა წვლილი ჩვენც შევიტანეთ მასში. ამ საახალწლოდ არცერთ ბაგა-ბაღს არ ვწვევივარ, ერთ ბაღში რომ მივიდე, დანარჩენებს გული დაწყდებათ, ამიტომ, შევეცდები, ყველა ბაღი შემოვიარო იანვრის თვეში. _ გვითხრა მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ.

# ყველაზე უცნაური, გამაოგნებელი და ალოგიკური 7 დაავადება

მედიცინის და ტექნიკის გრანდიოზული მიღწევების მიუხედავად, დღემდე არსებობს ისეთი დაავადებები, რომელთა არათუ განკურნება, არამედ ახსნაც კი ვერ მოხერხდა. გთავაზობთ მსოფლიოს წამყვანი მეცნიერების მიერ შედგენილ ყველაზე არალოგიკური და აუხსნელი ადამიანური ანომალიების სიას, ეგრეთ წოდებულ გამოცანებს.



**გამოცანა №1:** მედიცინის ისტორიაში ყველაზე უცნაური და გამაოგნებელი მოვლენა ადამიანი ხეების არსებობა გახლავთ. ამ დაავადების მატარებელთა კიდურები მართლაც რომ ხის ტოტებს მოგაგონებთ, მათი კანიც ხის ქერქს წააგავს. აღნიშნული დაავადების შესწავლაზე მედიკოსებმა დიდი დრო დახარჯეს, მრავალი მცდარი ვერსიის განხილვის შემდეგ კი სწორ დასკვნამდე მივიდნენ. ადამიანი ხეები იმუნოდეფიციტის იშვიათი სახეობით არიან დასნეულებული.

**გამოცანა №2:** ალერგია წყალზე. ამ დაავადების მატარებელთ შეუძლიათ წყლის დალევა, მაგრამ მასთან შეხებისას კანზე წითელი ლაქები უჩნდებათ და ძლიერი ქავილი ეწყებათ. ეს დაავადება მეცნიერებმა ჯერ კიდევ 1964 წელს აღწერეს მაგრამ მისი ახსნა დღემდე ვერ შეძლეს.

**გამოცანა №3:** უცხოური აქცენტის სინდრომი. 1941 წელს, ნორვეგიის დაბომბვის შემდეგ ერთ-ერთი ნორვეგიელი ქალბატონი მშობლიურ ნორვეგიულ ენაზე გერმანული აქცენტით საუბრობდა. ეს ფაქტი განსაკუთრებით უცნაური იყო, რადგან ამ ქალბატონს გერმანული არ ესმოდა, ამ ენაზე არ ლაპარაკობდა და მისი შესწავლაც არასოდეს ჰქონდა ნაცადი. ნორვეგიელი ქალბატონის ეს ისტორია უცხოური აქცენტის სინდრომის პირველი ოფიციალურად დაფიქსირებული შემთხვევა გახლდათ, თუმცა არა ერთადერთი.

კერონ კეტლოკერსი სტენფორდში ცხოვრობს. ის რადიოწამყვანი გახლდათ და გამართული ინგლისურით მეტყველებდა, თუმცა ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ მის ტვინში მეცნიერთათვის გაურკვეველი ცვლილება მოხდა და ახლა კერონი საკუთარ ხმასა და საუბრის მანერას თავადაც ვერ ცნობს.

**გამოცანა №4:** ადამიანი ქიმერა. მათ ბუნების შეცდომასაც ხშირად უწოდებენ. ადამიანი ქიმერა სამედიცინო ენაზე ორი დნმ-ის მქონე ადამიანია, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ადამიანი ქიმერა ერთდროულად ორი ადამიანი გახლავთ. ყოფილა შემთხვევა, როდესაც ქალი-ქიმერა გენეტიკური თვალსაზრისით საკუთარი შვილების დედა არ ყოფილა.

**გამოცანა №5:** მორლეგონის დაავადება. ის ათასობით ადამიანს აწუხებს, მაგრამ მორლეგონის გამომწვევი მიზეზი არავინ იცის. მორლეგონით დაავადებულებს კანზე ბოჭკოები უჩნდებათ, რაც ძლიერ ტკივილ-




სა და სხეულში უხილავი პარაზიტების ქონის შეგრძნებას იწვევს. მეცნიერთა ნაწილი ამ დაავადების გამომწვევ მიზეზად ორგანიზმში ბაქტერიების არსებობას მიიჩნევს, მეორე ნაწილი კი მორლეგონის დაავადება ფსიქიკური არამდგრადობის ერთ-ერთ გამოვლინებად მიაჩნია. მათი განმარტებით პაციენტი თავს ირწმუნებს, რომ მის სხეულში პარაზიტები ცხოვრობენ.

**გამოცანა №6:** ჯორჯ III-ის სიგიჟე გახლავთ. ინგლისის მეფეს ჯორჯ III-ს იმდენად ძლიერი ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა, რომ დასაწყნარებლად სპეციალურ ხალათსაც კი აცმევდნენ. მე-18 საუკუნის ექიმები მის მდგომარეობას გენეტიკით ხსნიდნენ, თუმცა 2005 წელს მონარქის თმის გამოკვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მეფეს ორგანიზმში დიდი რაოდენობით დარიშხანი ჰქონდა, რაც მის ფსიქიკაზე უარყოფით გავლენას ახდენდა.

**გამოცანა №7:** ბინძური თითი. 1991 წელს 24 წლის მამაკაცმა თითი ქათმის ძვლით დაიზიანა, ჭრილობა შეხორცდა, მაგრამ 5 წლის შემდეგ იგივე თითი საშინელ სუნს გამოყოფდა. სიმყრალე შორი მანძილიდანაც კი იგრძნობდა, ექიმები პაციენტის დახურულ ოთახში გასინჯვასაც კი ვერ ახერხებდნენ, მსოფლიო მედიცინა ამ დაავადების წინაშე უძლური აღმოჩნდა. გარკვეული დროის შემდეგ სუნი თავად გაქრა.

ესაა არასრული სია იმ აუხსნელი დაავადებებისა, რომელიც მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 2% იტანჯება.

ღამურებისგან განსხვავებით, რომლებიც მთელ მსოფლიოში გვხვდებიან, მფრინავი მელა მხოლოდ აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონებში ბინადრობს (აზია, აფრიკა, ოკეანია). დასავლეთ აფრიკაში, სამოაში ან ფილიპინებში ის არც ისე უცხოა, თუმცა საინტერესოა, საიდან მოხვდა ეს გიგანტური მელა პერუს ტყეებში.

რაც უნდა იყოს, ღამურების ადამიანებზე თავდასხმა პერუში არც ისე იშვიათი მოვლენაა. 2 წლის წინ ღამურის ნაკბენისგან 20 ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის 7 მცირეწლოვანი, მთლიანად 2010 წლის განმავლობაში პერუს მხოლოდ 2 პროვინციაში დაფიქსირდა 3500 შემთხვევა, როდესაც ღამურამ ადამიანს უკბინა.

**ღრუბელი**

ცაზე აფრენილა შავი დეკეული,
ლურჯი დაპფენია მოლი,
წევს ასე მუცელატკივებული
და მზეს მშობიარობს მგონი...

***

საოცარია დილა ხეივანის,
ზეცა მზეს გვესვრის თაიგულივით,
და ხენი თითქოს სუსტი თითებით
ჩიტებს უკრავენ სალამურივითო.

***

ჩაუცვია ღამის თეთრი პერანგი,
ცაზე მთვარე ისე გამოპრანჭულა,
თითქოს ციდან ჩამოვიდეს ამაღამ,
თითქოს შენთან აპირებდეს დაწოლასო.

***

როცა შეხედავ მშვენიერებას,
გამოუთქმელად _
მერე გული რომ არ გაგისკდეს,
უფალმა მაშინ სიყვარული გამოგიგონა.

***

მეფობს გაზაფხული
და თავზე ადგას წითელი ტყემლის
თეთრი გვირგვინი...

ერმილე ოიოფურია



## ნანული კიკაბიძე-მელქაძის მარადიული ხსოვნა

26 იანვარს 40 დღე შესრულდება შენი გარდაცვალებიდან. ვერ ვიჯერებთ, სიზმარში გვგონია თავი, ჩვენო სიცოცხლით სავსევ, კეთილო, თბილო და ულამაზესო დედავ და მეუღლევ. წახვედი და დაგვიტოვე დიდი გულისტკივილი, ძალიან გვიჭირს უშენობა. მოულოდნელმა სენმა ზეცაში აიყვანა შენი ლამაზი სული. ყოველთვის ახერხებდი ახლობლების და მეგობრების ჭირისა და ლხინის გაზიარებას, მათ ჯეროვნად დაფასებას, ამიტომ ყველას გვიჭირს იმ აზრთან შეგუება, ჩვენთან რომ აღარ ხარ.

ყველა შენ სურვილს და დაპირებას შევასრულებთ, დედი. ძალიან გვენატრები და გვაკლიხარ შენ მეუღლეს, შვილს და ახლობლებს. მენატრები ჩემო სათნო, თბილო, სიკეთის მკეთებელო, ჩემო ულამაზესო დედიკო. უშენოდ ჩვენი სახლი მკვდარია. ძალიან გვიმძიმს უშენოდ ყოფნა. ნათელი და სანთელი არ მოგაკლოს უფალმა, მშვიდად იძინე მარადიულ სასუფეველში. უფალს ვთხოვთ, ნათელი დაადგას შენს ლამაზ სულს ცათა სასუფეველში.

***შენი დამწუხრებული ოჯახი***

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს კოტე ნაცვლიშვილს
**დედის**
გარდაცვალების გამო.

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალბატონი
**ლიანა ნიქაბაძე**
და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს დოლიძეებისა და კეშელავების ოჯახს
**ავთანდილ დოლიძის**
გარდაცვალების გამო.

---



## შალვა ნიკურაძის გახსენება

ნაადრევად შეწყდა შენი ლამაზი სიცოცხლე. ულალატო მეგობარს სინანულით, ცრემლითა და მწუხარებით გიგონებთ. 14 იანვარი შენი დაბადების დღეა. ერთხელ კიდევ გავიხსენებთ იმ ლამაზ დღეებს, ერთად რომ ვიყავით. ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სპეტაკი სული, ჩვენო შალვა.

***მეგობრები***

---



## მარგალიტა ლეჟავა-ცაგარეიშვილის გახსენება

90 წელი შეგისრულდებოდა ჩვენო მზრუნველო დედავ და ბებიავ. მოვალთ შენს საფლავთან და ყვავილებით შევამკობთ მას. არასოდეს დავივიწყებთ შენს ამაგს, მშვიდად იძინე.

ნათელში დაამკვიდროს უფალმა შენი სპეტაკი სული.

***ოჯახი***

---

## მარინა შენგელიას გახსენება

მოკვდა დედა! ყელს მობჯენილი ცრემლი წამწამზე დაეკიდა სულის კივილად, მოკვდა დედა! მერე დღეების სარბიელი აირია და შავი სამარის პირას მდგომებმა გავათვიცნობიერეთ, ხვალიდან არც ყვავილებში ჩაძირული აღარ იქნება იგი ბოლო იმედად. სახლის კარიც სამუდამოდ გაიხურა დედამ! მოკვდა ქალი, სიკეთით რომ აშენა და აძლიერა ფუძე. დიდ ოჯახში დაბუდებული სიყვარულის შემოქმედი სწორედ ის იყო. ორმოცი დღე გავიდა ცათა სასუფეველში დასავანებლად. ცრემლი ისევ ყელს ებჯინება და ასველებს მზერას ცივი სამარის ქვასთან. გამშრალი თვალებით ტირის მამა მონატრებისა და სიყვარულის სათქმელს. მოკვდა დედა და სიჩუმეა ახლა შვილებით, შვილიშვილებით აჟრიამულებულ კერაზე, ეს სხვა სიჩუმეა, თვალით დანახული და გულით განცდილი. 40 დღეა, უკვე ვუსმენთ ამ უშენობის სიჩუმეს, მანუ! გვჭირდები, გვენატრები და ვერ ვითავისებთ, რომ მოკვდა დედა!



***ოჯახი***

დედმამიშვილობის სიყვარულს სხვაგვარი ტკივილი სცოდნია თურმე. 40 დღე გაუსაძლისი გახადა შენმა გარდაცვალებამ. ძალიან მენატრები, სამ დედმამიშვილს გამოკლებულო ერთგულო, მოსიყვარულე და მოიმედე დაო. ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს შენ სულს!

***ნინელი და სულიკო კლდიაშვილები ოჯახით***

მე ძმის ტკივილით მტკივა შენი გარდაცვალება მარინა, ორი დის სიყვარულით განებივრებული ძმის ტკივილით. "რა ვუთხრა გოგო დედას" _ ამ სიტყვებს უკვე გაცივებულს ჩაგძახოდი და ახლაც გეკითხები, რა ვუთხრა დედას, რომელსაც ვერ გავუმხილეთ შენი სიკვდილი. 40 დღეა, უშენობა მონატრებად იქცა. ღმერთმა ნათელი სასუფეველი დაგიმკვიდროს!

***გია შენგელია ოჯახით***

მეხსიერებას შემორჩებით მოსიყვარულე და იმედიან ქალბატონად. გმადლობთ ჩვენდამი გამოჩენილი სიკეთისა და თანადგომისთვის. ძალიან დაგვაკლდებით.

***ამირან კაკავა ოჯახით***

---

# გაფანტული სკლეროზი

თავისა და ზურგის ტვინის ქრონიკულად მიმდინარე დაავადებებს შორის უკანასკნელ ხანს საკმაოდ იმატა გაფანტული სკლეროზის წილმა. ეს ხანდაზმულთა "სკლეროზისგან" სრულიად განსხვავებული დაავადებაა. ტერმინი "გაფანტული" დაავადების ცენტრალურ ნერვულ სისტემაში გავრცელების თავისებურებაზე მიუთითებს _ დაავადების კერები, ფოლაქები, რომელთა ზომაც მიკროსკოპულიდან რამდენიმე სანტიმეტრამდე მერყეობს, მთელ სისტემაშია მიმოფანტული.



დაავადება იმუნური სისტემაში მიმდინარე ცვლილებათა შედეგია: ლიმფოციტები აღწევენ ნერვულ უჯრედებში და მათ მფარავ მიელინის გარსს აზიანებენ; მიელინი შემაერთებელი ქსოვილით იცვლება, წარმოიქმნება ნაწიბური, რომელიც იმპულსს ნორმალურად ვეღარ ატარებს და ამ უბნებში ტვინის ფუნქციები ირღვევა.

### საინტერესო ფაქტები

გაფანტული სკლეროზი საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა. ის ტრავმების შემდეგ მეორე ადგილს იკავებს ახალგაზრდა ასაკში უნარშეზღუდულობის ნევროლოგიურ მიზეზებს შორის.

გაფანტული სკლეროზით ავადდებიან ახალგაზრდები 15-დან 40 წლამდე. 50 წლის შემდეგ დაავადების განვითარების რისკი მკვეთრად მცირდება.

ცნობილია შემთხვევები, როდესაც დაავადება 2 წლამდე ასაკის ბავშვებთანაც კი გამოვლენილა.

დაავადება სიცოცხლის ხანგრძლივობაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს.

ყოველ 1000 კაცზე დაავადების საშუალოდ 20-დან 30-მდე შემთხვევა აღირიცხება.

დაავადების გეოგრაფიულ გავრცელებას საინტერესო თავისებურება ახასიათებს _ რაც უფრო მოშორებულია ტერიტორია ეკვატორს, მით უფრო მაღალია ავადობის მაჩვენებელი.

ჩრდილოეთის ქვეყნებში ავადობა უფრო მაღალია _ 1000 კაცზე დაავადების 70-მდე შემთხვევა აღირიცხება. ამას სპეციალისტები D ვიტამინის დეფიციტს უკავშირებენ, რომელიც კანზე მზის სხივების მოხვედრისას გამომუშავდება ორგანიზმში.

ქალები მამაკაცებზე 2-3-ჯერ ხშირად ავადმყოფობენ, თუმცა გაცილებით მსუბუქად.

შეინიშნება კავშირი რასობრივ კუთვნილებასთან: იაპონელები, ჩინელები და კორეელები ამ პრობლემას პტრაქტიკულად არ იცნობენ.

გაფანტული სკლეროზის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დგას ევროპაში. ევროპის დიდ ქალაქებში დაავადებულთა რიცხვი გაცილებით მეტია, ვიდრე სოფლად, რაც იმაზე მეტყველებს, რომ არახელსაყრელი გარემო პირობები ხელს უწყობს დაავადების განვითარებას.

ასიდან 25 შემთხვევაში დაავადება კეთილთვისებიანად მიმდინარეობს და ადამიანი წლობით ინარჩუნებს შრომის უნარს. უნარის მკვეთრი შეზღუდვა მოსალოდნელია მხოლოდ 10%-თან ისიც _ დაგვიანებული დიაგნოსტიკისა და მკურნალობისას.

გამოცდას გადის გაფანტული სკლეროზის საწინააღმდეგო ვაქცინა, რომლის ფართო გამოყენება რამდენიმე წელიწადში დაიწყება.

### გაფანტული სკლეროზის ხელშემწყობი ფაქტორები

გენეტიკური განწყობა _ მუტაციურად შეცვლილი გენების გავლენა;

ძლიერი სტრესი;

ვირუსული და ბაქტერიული დაავადებები;

D ვიტამინის დეფიციტი;

ზოგიერთი მეცნიერი დაავადების განვითარებას უკავშირებს B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაციას, თუმცა ეს ჰიპოთეზა ჯერჯერობით არ დამტკიცებულა.

# Georgian Journal

## Uncanny Resemblance: President Margvelashvili looks just like the last King of Georgia

13 January, 2015




A funny photo has been spread through the Georgian web space: close-ups of current President Giorgi Margvelashvili and the last King of independent Georgia, Giorgi XII. The resemblance is, quite frankly, very striking. On the photo, the president is jokingly called Giorgi XIII.
Idea belongs to Facebook user Bejan Gogia.

**ბეჟან გოგიას მიერ აღმოჩენილი მსგავსება, რომელიც ვებ-სივრცეში უკვე გავრცელდა, ინგლისურენოვანი ჟურნალის ინტერესის სფეროშიც მოექცა. მასზე გამოსახულია ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი და საქართველოს მეფე გიორგი მეთორმეტე.**

# როგორ გავიშროთ ლაქი სწრაფად

ლაქის სწორად წასმა სწრაფად გაშრობის საწინდარია. თავდაპირველად აუცილებელია ფრჩხილის მომზადება შესაღებავად, რათა ლაქი თანაბრად წაესვას და მიმზიდველი შესახედაობა მიიღოს. ლაქის ფენა არ უნდა იყოს სქელი _ სქლად წასმული ლაქი ადვილად აშრევდება და გასაშრობადაც უფრო მეტი ხანი სჭირდება. პირველი ფენის წასმის შემდეგ, ვიდრე მეორეს გადავისვამდეთ, ერთი წუთი მაინც უნდა დავიცადოთ _ ლაქი გაშრება და ფრჩხილის ზედაპირი თანაბარი გამოვა. ლაქი სწრაფად რომ შეშრეს, წასმამდე 20 წუთით ადრე შედგით მაცივარში. შეიძლება გაიშროთ ჩვეულებრივი თმის ფენითაც, ოღონდ ცივი შრობის პროგრამით _ ცხელმა შესაძლოა მანიკური გაგიფუჭოთ. გარდა ამისა, ცხელი ჰაერის ზემოქმედებით თავად ფრჩხილებიც იქერცლება და მყიფე ხდება. ლაქის სწრაფად გაშრობის კიდევ ერთი საშუალებაა ცივი წყალი. ჩაყავით თითის წვერები ცივ წყალში და რამდენიმე წუთი გააჩერეთ. თუ წყალში ყინულის კუბიკებსაც ჩაყრით, მას მატონიზირებელი ეფექტიც ექნება. ამგვარად ერთდროულად შეუთავსებთ ხარისხიან მანიკურსა და ფრჩხილების მოვლას.






უსიტყვოდ

## ვულოცავთ!

**ქალბატონ დარეჯან ქავთარიას**

გილოცავთ დაბადების დღეს, უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ თქვენ და თქვენს ოჯახს.

*ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირი*

---

სიცოცხლითა და სიყვარულით სავსე ქალბატონს, ენერგიულს, დაუზარელსა და ერთგულების ნიჭით დაჯილდოვებულ მეგობარს, დაბადების დღეს ვულოცავთ. ვუსურვებთ, წელთა მატებას მხოლოდ სიხარული, ბედნიერება, ხვავი და ბარაქა მოეტანოს ქავთარიებისა და გალდავების თბილი ოჯახებისთვის. მისი დედისერთა ანანო საუკეთესო ქალად აღზრდილი ენახოს.

*მეგობრები*

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბეჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა